შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№11 (9.576)

30 მარტი-6 აპრილი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ნიკალას ორიგინალები დაბრუნდა

ისტორიული სამართლიანობა აღდგენილია - დიდი ძალისხმევის შემდეგ დედოფლისწყარომ ნიკო ფიროსმანის „წართმეული„ ორიგინალები დაიბრუნა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობით და გაძლიერებული დაცვის თანხლებით 29 მარტს სამი ნამუშევარი სიღნაღიდან კვლავაც დედოფლისწყაროში, სოფელ მირზაანში მდებარე ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმში გადაიტანეს. იმავე დღეს ორიგინალები თავისსავე ადგილებზე გამოფინეს.

პროცესს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები ნინო ვაჩეიშვილი და ეკა კაჭარავა, ეროვნული მუზეუმის რესტავრატორი ჯონი ახობაძე და დედოფლისწყაროს გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი დაესწრნენ. საგანგებოდ იყო მობილიზებული სახელმწიფო დაცვის სამსახური.

სიღნაღის რეაბილიტაციის შემდეგ გენიალური მხატვრის ნახატების სამი ორიგინალი სიღნაღის მუზეუმში გადაიტანეს. როგორც „შირაქმა“ ამჯერად გაარკვია, ექსპონატების სხვა ქალაქში გატანის ოქმი არ არსებობს. არადა, ამხელა მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობა ფონდიდან გაძლიერებული დაცვის თანხლებით და მრავალი დოკუმენტის გაფორმების შემდეგ უნდა გავიდეს.

„დროებით“ გადაცემული ნამუშევრები სიღნაღში თითქმის 7 წელს დარჩა და მის დაბრუნებას არავინ აპირებდა. პროცესში დედოფლისწყაროს გამგებელი აქტიურად ჩაერთო, საკითხზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ახალმა ხელმძღვანელობამაც იმუშავა.

ნელი გოგენჯიშვილი (ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის მმართველი): „მნიშვნელოვანი დღეა, იმიტომ რომ საკუთარი განძი გვიბრუნდება. თავადაც ნახეთ ის ემოციები, რაც ორიგინალების დაბრუნებას მოჰყვა, როგორც მუზეუმის თანამშრომლების, ისე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების მხრიდან. დიდი ხანი არ არის, რაც მუზეუმის მმართველად დავინიშნე, ამდენად, რა სირთულეები ახლდა ნამუშევრების დაბრუნების პროცესს, დეტალურად ვერ გეტყვით. დიდი სურვილი გვქონდა, რომ ორიგინალები გასულ წელს, ფიროსმანობის დღესასწაულზე, საიუბილეო თარიღისთვის დაბრუნებულიყო. რაკი საიუბილეო წელი იყო, სააგენტოს მეშვეობით ვცდილობდით, მივწერეთ, რომ ორიგინალების გატანით დარბაზში საგამოფენო სივრცე დაირღვა და საიუბილეო ღონისძიებებისთვის უკან დაებრუნებინათ. თუმცა, მაშინ, რატომღაც, ვერ მოხერხდა. ბოლო დროს ფიროსმანის მუზეუმმა წერილობით ახალ ხელმძღვანელობას მიმართა და შედეგი, როგორც ნახეთ, დადებითი იყო. პროცესში რაიონის ხელმძღვანელობაც, კულტურის სამინისტროც ჩაერთო და ეროვნულმა მუზეუმმა თავისი კეთილი ნება გამოხატა და ორიგინალები დაგვიბრუნა.

- გატანის დროს რამდენად მოწესრიგებული იყო დოკუმენტაცია, რის საფუძველზე გაიცა ექსპონატები?

- პრეზიდენტის და კულტურის სამინისტროს ბრძანებები არსებობდა. თუმცა, პროცედურულად, შემოსავალ-გასავლის აქტები ადგილზე არ დამხვდა, ამაზე ვერაფერს გეტყვით. გატანის საფუძველი მხოლოდ ბრძანება იყო, მეტი არაფერი. ახლა კი ყველაფერი ოფიციალურად, დაცვის თანხლებით და ოფიციალური დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ შემოვიდა. ყველა ორიგინალის დაბრუნება მნიშვნელოვანია, თუმცა, ამ ნამუშევრების შინაარსიც საინტერესოა. ხშირად მიწევს გიდის ფუნქციაც შევითავსო. როგორც ირკვევა, „მუშა სოსო“ რეალური პიროვნება იყო. როგორც მოგონებებიდან ირკვევა, რაჭველი მტვირთავი ყოფილა და იმ უბანზე ცხოვრობდა, სადაც ნიკალა და ამიტომაც დახატა. ფიროსმანი ნახატებში თავის ყოველდღიურ ყოფას გადმოსცემდა. „მალაკნების ქეიფიც“ ასეთია. არის თავადების ნადიმი და მალაკნების ქეიფი, რომელიც შედარებაც ხშირად ხდება, როგორია ტრადიციული ქართული სუფრა და როგორია სხვა ერის წარმომადგენელთა სუფრა. რაც შეეხება „კალოობას“, რომელსაც რესტავრაცია უკეთდება, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან კალოობა ჩვენი კუთხისთვის დამახასიათებელია.

სამწუხაროდ, ამჟამად მუზეუმი სეზონურ კრიზისს განიცდის. ამ პერიოდში დამთვალიერებელი ნაკლებია, თუმცა მჯერა, რომ ორიგინალების დაბრუნება ვიზიტორთა რიცხვს გაზრდის.

რაც შეეხება სიახლეებს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან ერთად გამოიცა გზამკვლევი, ფიროსმანის ორიგინალებით მზადდება სუვენირები, სკოლებთან იდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. სააგენტოსთან ერთად მრავალი ღონისძიება იგეგმება, გვინდა ფესტივალებიც ჩავატაროთ.

რა ბედი ეწევა „მსოფლიო ბანკის“ მიერ ფიროსმანის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებას?

- იმედი გვაქვს, რომ 2013 წლის პროექტებში მოხვდება. კარგი პროექტის წარდგენის შემთხვევაში დაფინანსების შანსი არსებობს. აქამდე იმის უფლებაც არ გვქონდა, კითხვა დაგვესვა, რატომ ამოიღო ფონდმა ფიროსმანის მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი დაფინანსების ნუსხიდან. გაირკვა, რომ პროექტი იმ სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა, რაც მუზეუმს სჭირდება. მქონდა შეხვედრა მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან და თუ შესაბამისი პროექტი შედგება, წელს მუზეუმის დაფინანსების საკითხი ისევ განიხილება. კონკრეტული ვადები ცნობილი არ არის, თუმცა იმედი ნამდვილად არსებობს. საგენტოს ახალი ხელმძღვანელობა პროცესში აქტიურად ჩაებმება. ამას გარდა, წლის სამუშაო გეგმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს უკვე წარვუდგინეთ, სადაც მუზეუმის განვითარების ჩვენეული ხედვაა გადმოცემული. ინფრასტრუქტურული სამუშაოების ნაწილი მუზეუმში უკვე ჩატარდა და ის კვლავაც გაგრძელდება.

გამგებელმა, მოსვლის დღიდან, გულთან ახლოს მიიტანა ეს პრობლემა და ძალიან მადლობელი ვარ მისი. ხშირად ინტერესდებოდა ჩვენი პრობლემებით და მხარდაჭერას გვიცხადებდა. იმედი მაქვს, რომ ის ხიდჩატეხილობა, რაც ფიროსმანის მუზეუმსა და დედოფლისწყაროს ადგილობრივ ხელმძღვანელებს შორის არსებობდა, აღმოიფხვრება და აქტიურად ვითანამშრომლებთ. მე რომ ამ თანამდებობაზე დავინიშნე, მაშინაც ხიდჩატეხილობის პრობლემა იყო. არადა, უნდა ყოფილიყო რაიონის ხელმძღვანელების კეთილი ნება. ნამდვილად ახალი ეტაპი იწყება მუზეუმის ცხოვრებაში, ამას ისიც ადასტურებს, რომ გამგებელიც დაესწრო პროცესს. ამ ორიგინალების გატანასთან დაკავშირებით უსამართლობის განცდა არსებობდა. დოკუმენტში ეწერა სიტყვა „დროებით“, თუმცა არ იყო დაკონკრეტებული რა ვადით გადიოდა ნახატები, ან ვის უნდა დაებრუნებინა.

ირაკლი შიოლაშვილი (დედოფლისწყაროს გამგებელი): „ისტორიული სამართლიანობა აღდგა. მუზეუმი უშედეგოდ ითხოვდა ორიგინალების გადმოცემას. როგორც კი ამ თანამდებობაზე დავინიშნე, ჩემთვის ერთ-ერთ აქტიურ სამუშაო თემად ეს საკითხი იქცა. სხვადასხვა შეხვედრებზე ვისაუბრე ამაზე და დღეს ასეთი ისტორიული დღეა. მიმაჩნია, რომ ექსპონატები სამართლიანად არ იყო გატანილი. რადგან ტურისტებს სიღნაღში შეეძლოთ ენახათ ორიგინალები იმის ინტერესი აღარ უჩნდებოდათ, რომ მირზაანში ჩამოსულიყვნენ და გენიალური მხატვრის შემოქმედებას ჩვენთან გაცნობოდნენ. ეს იყო ერთი კაცის ახირება. იცით, რომ სიღნაღი სახელისუფლებო წარმომადგენელთა ხშირი ვიზიტებით გამოირჩეოდა და ამიტომ გაიტანეს ეს ორიგინალები, რომელთა დაბრუნებას ამდენი წლის მანძილზე არ აპირებდნენ.

ჯონი ახობაძე (ეროვნული მუზეუმის მთავარი რესტავრატორი): „როდესაც სიღნაღის მუზეუმის რეკონსტრუქცია მოხდა, აქ გამოსაფენად მირზაანიდან წაიღეს ორიგინალები. რესტავრატორებმა შევნიშნეთ, რომ ერთ-ერთ ორიგინალს, რომელსაც „კალოობა“ ჰქვია, ტილოს უკანა მხარეს ობის კერა იყო. ამიტომ ის დაუყოვნებლივ გადავიტანეთ ხელოვნების მუზეუმში და ამჯერადაც იქ არის. ობის კერა მოვსპეთ, ვუმკურნალეთ და დაახლოებით ორ თვეში მირზაანის მუზეუმს მესამე ნამუშევარიც დაუბრუნდება. მხოლოდ კოსმეტიკური რესტავრაცია დარჩა ჩასატარებელი“.

ილია მარტყოფლიშვილი

ზემოქედელების მუქარა „ჯეოაგროს“

გვ. 5

დედოფლისწყაროში ბევრი კარგი საქმე გაკეთდება

გვ. 2

№1 საჯარო სკოლის მრავალწლიანი დავა დასასრულს უახლოვდება?!

გვ. 3-8

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი - ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

საქველმოქმედო აქცია გრძელდება

ფარმაცევტული კომპანია „ასფარმას“ სპონსორობით საქველმოქმედო სკრინინგული კვლევა შაქრიანი დიაბეტის, ქოლესტერინის და ტრიგლიცერიდების მომატებული დონის გამოსავლენად რისკის ჯგუფის პაციენტებში გრძელდება. კვლევა მიმდინარეობს სამედიცინო ცენტრ **„ექიმები თქვენს სამსახურში“** ექიმ-ენდოკრინოლოგ მარინა მეხრიშვილის მოწვევით და ხელმძღვანელობით. პირველი აქციის დროს, რომელიც ჩატარდა გასულ წელს, გამოვლინდა ამ კუთხით პრობლემების მქონე პაციენტები. შემდეგი ორი კვლევა, რომელიც ასევე გასულ წელს ჩატარდა და დღევანდელი კვლევაც სწორედ იმ რისკის ჯგუფის პაციენტების სკრინინგულ და გამოკვლეული პაციენტების კონტროლს ემსახურება. ამ ჯგუფს განეკუთვნებიან ჭარბწონიანი პაციენტები, კლიმაქტერული ასაკის ქალები, პაციენტები არტერიული ჰიპერტენზიით, ფარისებრი ჯირკვლის დაქვეითებული ფუნქციის მქონე ადამიანები, გულის იშემიური დაავადების მქონე პირები (ანამნეზმი გადატანილი ინფაქტი, სტენდირება), შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პირები.

გასულმა და დღევანდელმა კვლევამ აჩვენა, რომ შაქრიანი დიაბეტის გამოვლენის დაგვიანებული შემთხვევები შემცირდა, სამაგიეროდ გაზრდილია სისხლში ქოლესტერინის მაღალი მაჩვენებელი, რაც პირდაპირ კავშირშია ისეთ სერიოზულ დაავადებებთნ, როგორიც არის გულის იშემიური დაავადება, სტენოკარდია, ინფარქტი, ინსულტი, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ქრონიკული მოშლა, შაქრიანი დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, ქვემო კიდურების სისხლძარღვთა დაავადებები და სხვა. ქოლესტერინის რეგულარული კონტროლი და შესაბამისი მკურნალობა მნიშვნელოვნად ამცირებს ზემოთჩამოთვლილი დაავადებების გართულების რისკს. ამდენად, **ფარმაცევტული კომპანია „ასფარმას“ მიერ ჩატარებული ეს უფასო გამოკვლევები** მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნების საქმეში. ამიტომაც მოსახლეობა ძალიან კმაყოფილია ამ კვლევების ჩატარებით.

როგორც ექიმმა-ენდროკრინოლოგმა მარინა მეხრიშვილმა და ფარმაცევტული კომპანია „ასფარმას“ წარმომადგენელმა სოფო გორხელაშვილმა განაცხადეს, მსგავსი ტიპის თანამშრომლობა მათ შორის კვლავაც გაგრძელდება.

ნაირა გორაშვილი

7 აპრილი ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო დღეა

7 აპრილი ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო დღეა. ამ დღეს ყოველწლიურად ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ხდება პრიორიტეტული თემის გამოყოფა. 2013 წლის პრიორიტეტს კი, არტერიული ჰიპერტენზია წარმოადგენს.ჯანმრთელობის სამინისტროს მონაცემებით მსოფლიოში სამიდან ერთ ზრდასრულ ადამიანს აღენიშნება სისხლის მაღალი წნევა. ის კვლავ რჩება სიკვდილიანობის ძირითად და ინვალიდობის მესამე უმთავრეს მიზეზად მსოფლიოში. საქართველოში მას წამყვანი ადგილი უკავია სიკვდილიანობის მიზეზებს შორის და შეადგენს 48,8%-ს.

შესაბამისად 1-7 აპრილს საქართველოში მთელი კვირა გამოცხადებულია არტერიული ჰიპერტენზიის კვირეულად, ლოზუნგით,- „აიცილე თავიდან ინფარქტი და ინსულტი, აკონტროლე წნევა.“

კვირეულის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის არტერიული ჰიპერტენზიის თავიდან აცილებისა და მართვის ცოდნის გაზრდა და ცნობიერების ამაღლება. კვირეულის მანძილზე იგეგმება წნევის გაზომვის აქციები. აფთიაქში, ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში მისულ პაციენტს სამედიცინო პერსონალი გაუზომავს წნევას. დარიგდება თემატური ბროშურები და საგანმანათლებლო მასალები.

მედიკოსების საპროტესტო აქცია ხელფასების მოთხოვნით

მედიკოსების კიდევ ერთი საპროტესტო აქცია გაიმართა დედოფლისწყაროში. ექიმები ებრაული კომპანია „ადითისგან“ ოთხთვიანი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას ითხოვენ. 27 მარტს აქციის მონაწილეები ქალაქის ცენტრში, პოლიკლინიკის შენობასთან შეიკრიბნენ, ის რეაბილიტაციის მიზეზით „ადითმა“ შეიძინა.

სახელფასო დავალიანების გარდა, „ადითმა“ დედოფლიწყაროს საავადმყოფოს თანამედროვე სტანდარტებით უზრუნველყოფის ვალდებულებაც ვერ შეასრულა. ოფიციალურად გაჟღერებული ინფორმაციის თანახმად, დედოფლისწყაროში „ადითს“ 30 საწოლიანი ახალი კლინიკა 2013 წლის 1 აპრილამდე უნდა გაეხსნა.

ექიმებს „ადითში“ განუცხადეს, რომ თანხის გადარიცხვას სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ აფერხებს, რის გამოც ხელფასების გაცემა ჭიანურდება.

ექიმების საპროტესტო აქციას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილიც მოადგილესთან ერთად შეუერთდა.

„იმედი მაქვს, რომ დედოფლისწყაროში სამედიცინო სფეროც მალე დალაგდება. ქუჩაში გამოსული ექიმები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სასამართლოს გზით ჯობია დაგვიანებული ხელფასების მოთხოვნა,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ირაკლი შიოლაშვილმა.

თელავში რეფერალური საავადმყოფო გაიხსნა

თელავში ახალი სამედიცინო ცენტრი გაიხსნა, რომელიც აღჭურვილია უახლესი აპარატურით და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. რეფერალური საავადმყოფო გათვლილია 70 საწოლზე და დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური მედპერსონალით, კლინიკაში დასაქმებულია 300—ზე მეტი ადგილობრივი და მოწვეული სპეციალისტი თბილისიდან.

თელავის ახლადგახსნილ რეფერალურ საავადმყოფოში ადგილობრივი მოსახლეობისათვის საკუთარ ქალაქშივე ხდება ხელმისაწვდომი ჰოსპიტალური, ამბულატორიული და პრე-ჰოსპიტალური სერვისების მიღება კომფორტულ და თანამედროვე ტიპის პალატებსა და საკონსულტაციო კაბინეტებში. ასევე, ახლადგახსნილი საავადმყოფო მომავალ მშობლებს სთავაზობს სამეანო გინეკოლოგიურ სრულ პაკეტს, დღეიდან კახეთში მცხოვრებ მშობიარე ქალბატონებს საშუალება ექნებათ, რეგიონიდან გაუსვლელად, მიიღონ მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება პროფესორ—გინეკოლოგის ლევან მაყაშვილისა და თბილისიდან მოწვეული სპეციალისტებისგან.

თელავის რეფერალური საავადმყოფოს გახსნის დღესთან დაკავშირებით პირველ დღეს უფასოდ, ხოლო შემდეგი ერთი კვირის განმავლობაში 50% იანი ფასდაკლებით ადგილობრივ მოსახლეობას სთავაზობს სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურებას — მშობიარობას, 4D ექოსკოპიას, ციფრულ რენტგენს და ა.შ.

თელავის რეფერალურ საავამდყოფოში 8 მლნ. ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა.

ქარიშხალმა ხორნაბუჯში საცხოვრებელი სახლის სახურავი დააზიანა

ძლიერმა ქარმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯში ლაპიაშვილების საცხოვრებელ სახლს სახურავი გადახადა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, დაზარალებულებმა დახმარების თხოვნით მუნიციპალიტეტის გამგეობას უკვე მიმართეს. დაზიანების ხარისხს თვითმმართველობის ორგანოში შექმნილი სპეციალური კომისია შეისწავლის.

როგორც გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა სოლომონ ღორაშვილმა „შირაქს“ განუცხადა, ინგა ლაპიაშვილის განცხადების შესწავლა და დაზიანების ხარისხის განსაზღვრა კომისიამ უკვე დაიწყო.

დაზარალებულისთვის ზარალის ანაზღაურებაზე თვ ითმმართველობის ორგანო კომისიის მიერ დასკვნის დადებისთანავე იმსჯელებს. სხვა დაზარალებულების თაობაზე ინფორმაცია ამ ეტაპზე არ არსებობს.

დედოფლისწყაროში ბევრი კარგი საქმე გაკეთდება

26 მარტს დედოფლისწყაროს გამგეობაში ტრადიციული თათბირი გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი უძღვებოდა. თათბირს სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები, გამგეობის სამსახურების და სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

როგორც სოფლის მეურნეობის დარგში გამგებლის მოადგილემ გივი გიგაურმა განმარტა, ორიოდ დღის წინ სოფლის მეურნეობის სამინისტროში პირადად ჩაიტანა ერთიანი დაზუსტებული სიები. მისი თქმით, დამატებით სიაში ის მოქალაქეებიც შევიდნენ, რომელთაც სასოფლო სამეურნეო ბარათი არ მიუღია. დამატებითი ბარათების გაცემა უახლოეს დღეებში მოხდება. როგორც გამგეობაში განმარტავენ, ბარათს ყველა მიიღებს.

„ამ დღეებში ვითარების ადგილზე გასაცნობად „მექანიზატორის“დედოფლისწყაროს სერვისცენტრს ვესტუმრე და სტატისტიკა მოვითხოვე. აღმოჩნდა, რომ მთავრობისგან საჩუქრად მიღებული ბევრი ბარათი კვლავაც გამოუყენებელია. ანუ, ზოგი მოსახლე რაიონიდან გასულია, ზოგს სხვა პრობლემა აქვს და გაირკვა, რომ ამ დროისთვის დედოფლისწყაროში ბარათების გამოყენებით მინის 80-90% დამუშავდა,“ - აღნიშნა დედოფლისწყაროს გამგებელმა.

თავის მხრივ, სოფლის რწმუნებულებმა აღნიშნეს, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ საჩუქრის გამო კმაყოფილებას გამოხატავს.

„სასოფლო-სამეურნეო ბარათებმა სოფლის მეურნეობა გამოაცოცხლა, ჩვენს რაიონში გაცილებით მეტი მიწა დამუშავდა და უნდა ვიფარაუდოთ, რომ წელს დედოფლისწყარო 40% მეტ მოსავალს მოიმკის,“ - აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილმა.

გამგეობის თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების

დამატებით სიაში ის მოქალაქეები შევიდნენ, ვისაც სასოფლო-სამეურნეო ბარათები არ მიუღიათ. დამატებითი ბარათების გაცემა უახლოეს დღეებში მოხდება

დაცვის მიზნით დედოფლისწყაროში საქონლის ძოვების წესები გამკაცრდება და დაჯარიმების მექანიზმი ამუშავდება. საჯარიმო ოქმების შედგენა დედოფლისწყაროს გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს დაეკისრება. დამატებითი დეტალები მომავალში დადგინდება. რაიონის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საჯარიმო სანქციების ამოქმედება აუცილებელია და მისი მიზანი ნათესების მაქსიმალური დაცვაა.

გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა სხდომაზე ასევე განმარტა, რომ რეგიონული განვითარების ფონდიდან დედოფლისწყაროს პირველ ეტაპზე 2 მილიონი ლარი გამოეყო: „ეს თანხა ძირითადად მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით განისაზღვრა. თუმცა, იმის გამო, რომ კახეთის სხვა რაიონებთან შედარებით დედოფლისწყაროში არაფერი გაკეთებულა, იმის გამო, რომ სიღნაღში, თელავში, ყვარელში და სხვა ქალაქებში გრანდიოზული პროექტები განხორციელდა და დედოფლისწყარო წლების მანძილზე არავის ახსენდებოდა, ამ მიზეზით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს კიდევ 500 ათასი ლარი დაემატა და თანხა 2 500 000 ლარამდე გაიზარდა. უკვე გვაქვს გაწერილი გეგმა, როგორ დავხარჯოთ ეს თანხა მაქსიმალურად ეფექტურად,“ - აღნიშნა ირაკლი შიოლაშვილმა.

სოფელ ხორნაბუჯის წყალმომარაგების სისტემის სამუშაოებისთვის 25 100 ლარია გათვალისწინებული. რეაბილიტაცია საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან ერთად ერთობლივად განხორციელდება. ასევე, სოფელ ზემო ქედში ცენტრალურ მაგისტრალზე ცენტრალური ქსელის გამოცვლისთვის 240 000 ლარი, იგივე სამუშაოებისთვის სოფელ არხილოსკალოში 290 000 ლარია გამოყოფილი. ქვემო ქედის წყალმომარაგების პროექტისთვის კი 38 500 ლარი. ამას გარდა, იგეგმება დედოფლისწყაროს სასაფლაოსა და ელიას მთაზე მდებარე წმ ელია თეზბიტელის მამათა მონასტრამდე მისასვლელი გზის მოწესრიგება, რისთვისაც 300 000 ლარია გათვალისწინებული. აგრეთვე საავადმყოფოს მიმდებარე დასახლებაში საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება იგეგმება, რაც ადგილობრივებს დიდ პრობლემად ექცათ. საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია 200 000 ლარით დაფინანსდება; გაგრძელდება გზების აღდგენითი სამუშაოებიც.

სხდომაზე ითქვა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბევრი შენობა, სადაც სხვადასხვა დაწესებულებები ფუნქციონირებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული არ არის და კვლავაც სახელმწიფო კუთვნილებაა. აქედან გამომდინარე, მათი რეაბილიტაციისთვის თანხების ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფა ვერ ხერხდება.

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლა ერთადერთი გამონაკლისი აღმოჩნდა, რომლის შენობაც მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია. ამდენად, სხვა შენობების ოფიციალურად გადმოცემამდე, ერთ-ერთი პირველი შენობა, სადაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით სარემონტო სამუშაოები დაიწყება, სწორედ ხელოვნების სკოლა იქნება. წინასწარი ინფორმაციით, აქ კოსმეტიკური სამუშაოები ჩატარდება და მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები დამონტაჟდება, შეკეთდება ფასადიც.

გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსს, ივანე ხელაშვილს დაევალა სოფლის რწმუნებულებს გასაგებ ენაზე გადმოცემული განმარტებები მიანოდოს იმის თაობაზე, თუ რას ითვალისწინებს ახლადდაწყებული მოქალაქეთა საყოველთაო დაზღვევის პროგრამა. თავის მხრივ რწმუნებულები ამ საკითხის ირგვლივ სოფლის მოსახლეობის ინფორმირებას უზრუნველყოფენ.

ილია მარტყოფლიშვილი

შეხვედრა ადგილობრივ მედიასთან

ორშაბათს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა დედოფლისწყაროში მოქმედი მედია საშუალებების წარმომადგენლებთან ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით შეხვედრა გამართა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გახლდათ პირველი პრეცედენტი ჩვენი რაიონის ბოლო ოცწლიან ისტორიაში, როდესაც ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ ასეთი ჟესტით დააფასა რაიონული პრესის მოღვაწეობა და პროფესიული დღე საგანგებო შეხვედრით აღუნიშნა ადგილობრივ ჟურნალისტებს.

შეხვედრისას ბატონმა ირაკლი შიოლაშვილმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა და ჟურნალისტებს სიმართლის მეციხოვნენი გვიწოდა, შემდეგ კი მოგვილოცა ქართული ჟურნალისტიკის დღე.

- „კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენი მრავალწლიანი მუშაობისთვის, და ეს საჩუქრები არის მხოლოდ ის მცირედი მადლობის გამოხატულება, რაც ამ ეტაპზე ჩვენ შეგვიძლია, ვფიქრობ რომ ის დარგი, რასაც ჟურნალისტიკა ჰქვია, განსაკუთრებულად უნდა იყოს დაფასებული, არა მარტო ჩვენს რაიონში, არამედ მთელს ქვეყანაში, თუმცა დღეს-დღეობით ეს ასე არაა, დრო მოვა და ჟურნალისტის მოღვაწეობა ჯეროვნად დაფასდება“- აღნიშნა ირაკლი შიოლაშვილმა შეხვედრისას და მასთან მიწვეულ მხცოვან ჟურნალისტებს: კლარა ოზაშვილსა და შოთა ბიკაშვილს ფასიანი საჩუქრები გადასცა,საჩუქრები გამოგვატანა ღვაწლმოსილ პრესის მსახურებთან: უშანგი წყარუაშვილთან და თინა ფავლენიშვილთან, რომლებიც საპატიო მიზეზის გამო ვერ გამოცხადდნენ შეხვედრაზე. ხოლო გაზეთ „შირაქის“ დღეს მოქმედ თანამშრომლებს და მის დორექტორს ინგა შიოლაშვილს გადაეცა სიმბოლური კოლექტიური საჩუქარი- დედოფლისწყაროს სამაგიდო გერბი.

- „ვისარგებლებ ამ შემთხვევით და დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ, მართლაც ჩვენი დაფასების პირველი შემთხვევაა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ასეთი სახის მიღებით მოლოცვა. მადლობა ამისთვის და ჩვენის მხრივ ვიტყვი, რომ მართალაც რთული სფეროა ჟურნალისტიკა და პუბლიცისტიკა საქართველოში, რომელსაც საფუძველი ილია ჭავჭავაძემ ჩაუყარა, სწორედ მის სახელს უკავშირდება ქართული ჟურნალისტიკის დაბადება და მას შემდეგ, ძალიან დიდი ხანია, ქართული მედია თავისუფლების დამკვიდრებისთვის იბრძვის. უამრავი პრობლემის მიუხედავად, ყოველთვის ვცდილობდით ჩვენ და ჩვენი გაზეთი, თითოეული მისი ჟურნალისტი, რომ ვყოფილიყავით ყოველთვის ობიექტურები, ეს ბუნებრივია მკითხველის გადასაწყვეტია, თუ რამდენად ვახერხებდით ამას, მაგრამ დღემდე ვცდილობთ, ვიყოთ ჟურნალისტური ეთიკის ერთგულები და ყოველთვის დავიცვათ ის ბალანსი, რომლეს-აც ჩვენი პროფესიული მოვალეობა გვავალებს,ძალიან რომ არ გამიგრძელდეს სათქმელი, ერთი ფრაზით დავამთავრებ ჩემს გამოსვლას, რაც ასევე გაზეთ „შირაქის“ წინა ნომერშიც დავწერე:თავისუფალი მედია მართლაც ქვეყნის სარკეა და ყველა ხელისუფალს მინდა მოვუწოდო, რომ ნუ შეგეშინდებათ ბატონებო და ნუ იტყვით უარს ამ სარკეში ჩახედვაზე.“ - აღნიშნა ინგა შიოლაშვილმა, რასაც

გამგებლის ადეკვატური პასუხი მოჰყვა, -„ ჩვენ არ გვეშინია ამ სარკეში ჩახედვის!“

შეხვედრაზე გამგებელმა ჟურნალისტების კითხვებსაც გასცა პასუხები და ზოგიერთი საჭირბოროტო თემის ირგვლივაც გააკეთა კომენტარი.

- „ ის ტენდენცია, რომ ქვეყნის ბიუჯეტი მხოლოდ ლოპოტას ტბისა და სიღნაღის აყვავებას ემსახურებოდა და დედოფლისწყარო მოკლებული იყო ყველანაირ სიკეთეს, წარსულს ჩაბარდა და ეს ასე აღარ გაგრძელდება. ამჯერად ყველა რაიონს თავისი მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე თანაბრად გამოეყო ბიუჯეტიდან თანხები და თანაბრად გადანაწილდა სრულიად საქართველოს რეგიონებზე. ეს საკითხი უკვე დარეგულირდა და მე ამისთვის ცენტრალურ ხელისუფლებას დიდ მადლობას ვუხდი. მეტსაც გეტყვით, სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამა რომ დაიწყო, იმდენად დიდი თანხები გახლდათ, რომ ვფიქრობდი, ალბათ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე რაღაც დონით შეზღუდვები გვექნებოდა, ვინაიდან ამხელა რესურსი და ამხელა თანხის რაოდენობისბარათების გაცემა კოლოსალურ თანხებს უტოლდებოდა. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ ორასი მილიონით კიდევ გაიზარდა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის გაწერილი თანხები. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ცენტრალური ხელისუფლება სწორად მიმართავდა სახელმწიფო თანხებს, ესე იგი შესაძლებელი ყოფილა, რომ ამხელა დახმარება წინა წლებშიც მოსულიყო და, შესაბამისად, ინფრასტრუქტურასაც არ ეზარალა. ამიტომ ვფიქრობ, რომ წელს გარდამტეხი წელი იქნება დედოფლისწყაროსთვის და, შესაბამისად, ძალიან ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდება. იცით ეხლა თქვენ, რომ ტრაქტორი- დედოფლისწყაროს გზის მონაკვეთის მშენებლობა დაწყებულია, ქვემო ქედში გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია და სექტემბრამდე აქვს ვადა, რომ დააგოს გზა. ეს საკმაოდ კოლოსალური ციფრებია, ერთი არის 10 მილიონიანი, მეორე 4 მილიონიანი პროექტი, რაც სატენდერო პირობებში გამარჯვებულმა კომპანიამ წარადგინა. საბოლოოდ რომ ვიანგარიშოთ, ტრაქტორი- დედოფლისწყაროს მონაკვეთი ნახევარი სიღნაღისაა და ნახევარი დედოფლისწყაროსი, 5 მილიონი ლარი დედოფლისწყაროზე იხარჯება, ამას ემატება 4 მილიონამდე ქვემო ქედის პროექტი, ჯამში ეს 9მილიონია, რასაც ემატება მილიონ 250 ათასი, რომელიც საგზაო დეპარტამენტს აქვს ჩასმული ალაზნის ნაპირსამაგრი სამუშაოებისთვის, რომელიც დედოფლისწყაროს ტერიტორიას განეკუთვნება.იცით ალბათ, რომ ალაზანი ტრანსსასაზღვრო მდინარეა და საზღვრის პრობლემებს გვიქმნის, წელს ეს პრობლემა მოგვარებადი გახდება. ამას ემატება ის ორ მილიონ ნახევარი, რომელიც რეგიონალური განვითარების სამინისტროს ფონდიდან წამოვიდა და დაახლოებით ის მილიონ ორასი ათასი, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტს შეუძლია, რომ დახარჯოს საჭიროებისამებრ. ყოველივე ეს არის კოლოსალური თანხა, რომელიც წინა ხელისუფლების მიერ დედოფლისწყაროში 9 წელიწადში დახარჯულ თანხებს აჭარბებს.

(დასასრული გვ. 5)

№1 საჯარო სკოლის მრავალწლიანი დავა დასასრულს უახლოვდება?!

სკოლაში, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დაამთავრა, დიდი მღელვარებაა. დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის დორექტორს, მაია ლაპიაშვილს სიღნაღის პროკურატურამ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით ბრალი წარუდგინა. ცნობილია, რომ მას რამდენიმე წლის წინ სკოლიდან გათავისუფლებული პედაგოგები უჩივიან, დავა წლებია გრძელდება. ბოლო დროს აქტიურად ვრცელდება ხმები, თითქოს ლაპიაშვილს ახალი ხელისუფლება ებრძვის, სკოლის დირექტორის თანამდებობაზე კი ირაკლი ღარიბაშვილის მამიდაშვილი ხათუნა მენთეშაშვილი მოიაზრება, ის ამავე სკოლაში პედაგოგად მუშაობს.

დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მოქმედი დირექტორი მაია ლაპიაშვილი გავრცელებულ ხმებზე განმარტებებს „შირაქთან“ აკეთებს. ლაპიაშვილი კატეგორიულად უარყოფს ღარიბაშვილების ოჯახის მხრიდან რაიმე სახის ზეწოლას და მათი მისამართით ღრმა პატივისცემას ადასტურებს.

ორი კვირის წინ სკოლის დირექტორს მაია ლაპიაშვილს ბრალი წაუყენეს 1 160 ლარის მითვისების ბრალდებით. ამასთან, პროკურატურამ სასამართლოს დირექტორისთვის უფლებამოსილების შეჩერების შუამდგომლობით მიმართა, თუმცა მოსამართლემ ბრალდების მხარის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მაია ლაპიაშვილი ამ დრომდე დირექტორის თანამდებობას იკავებს. თუმცა, ღიად ამბობს, რომ სიმართლის გარკვევისთანავე დირექტორის სავარძელს საკუთარი სურვილით დატოვებს.

„ბოლო დროს ავრცელებენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ღარიბაშვილების ოჯახი მემტერება და თანამდებობიდან ჩემი გათავისუფლება სურთ. ჩემთვის თანამდებობა არაფერს ნიშნავს, უბრალოდ ერთი რაიონის მკვიდრნი ვართ და მინდა ყველამ იცოდეს, რომ ნამდვილად მეამაყება და მუდამ ვგულშემატკივრობ ბატონ მინისტრს და მის ოჯახს. მე ისევ ამ ოჯახის ქომაგი ვარ და არავის ვათქმევინებ მათზე აუგს. ბევრი მტერი მყავს, გამოცდილი მაქვს ადამიანების ორგულობა. ამ დღეებში ბევრი დიდი განსაცდელი გადავიტანე და გავაანალიზე ბევრი რამ. არ მინდა, ეს ყველაფერი დავიჯერო და არც მჯერა, რადგანც ღრმა პატივისცემით ვარ განწყობილი ბატონი ირაკლის და მისი ოჯახის მიმართ. ვიცი, რომ ბევრს უნდა ჩემი ამ ოჯახთან დაპირისპირება და იყენებენ არაადამიანურ ხერხებს. იმასაც ვხვდები, რომ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ეს ოჯახი მდევნის, პროვოკაცია და მორიგი ინტრიგაა. რაც შეეხება, ღარიბაშვილის მამიდაშვილს, მინდა გითხრათ, რომ ხათუნა მენთეშაშვილი ჩემი არა მხოლოდ თანამშრომელი, არამედ მეგობარიცაა. ვიცი, რომ მას არ სურს სკოლის დირექტორობა. თუმცა, მომავალში თუ ის იქნება ამ თანამდებობაზე, პირადად მე მხარში დავუდგები და სკოლას გადავულოცავ,“ – ამბობს სკოლის დირექტორი.

გათავისუფლებული პედაგოგები ირწმუნებიან, რომ ლაპიაშვილი წინასაარჩევნო პერიოდში „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ მუშაობდა და ამისთვის სამსახურეობრივ მდგომარეობასაც იყენებდა. თავად ლაპიაშვილი გაზეთ „შირაქთან“ ამტკიცებს, რომ მას ყოფილი ხელისუფლება დევნიდა, ის ყოველთვის აპოლიტიკური იყო და ზემოდან წამოსულ არასასურველ მითითებებს ყოველთვის თავს არიდებდა. მომჩივანი პედაგოგები კი აცხადებენ, რომ მაია ლაპიაშვილს თეა თუთბერიძე მფარველობდა და მისი დასჯა ამ დრომდე ამიტომ ვერ მოხერხდა.

„ყველამ კარგად იცის, რომ ყოფილი ხელისუფლების დევნამ გამინადგურა ცხოვრება და ის საქმე, რომელიც პროკურატურაშია ჩემს საწინააღმდეგოდ, ნაციონალების დაკვეთითაა „შეკერილი“. ახლა, როდესაც იმედი მომეცა და მჯერა, რომ ახალი ხელისუფლება ბოლოს მოუღებს და წერტილს დაუსვამს ჩემს უსამართლო დევნას, რამაც ცხოვრების საუკეთესო წლები წამართვა და ჩემი ოჯახის მშვიდი ცხოვრება არია, ვიღაც მიზანმიმართულად მაპირისპირებს ახალ ხელისუფლებასთან და ამ ამბების პოლიტიზირებას ცდილობს. თუ ჩემი მთავარი დანაშაული ის არის, რომ არ ვარ პოლიტიზირებული, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, სამაგიეროდ მაქვს მტკიცე მოქალაქეობრივი პოზიცია, მაქვს სამართლის დადგენის დიდი იმედი, მაქვს ირაკლი ღარიბაშვილის და მისი თანამებრძოლების პატიოსნების იმედი, გარანტიები და ნურავინ ეცდება ჩემი სახელის ბინძურ პოლიტიკურ საქმეებთან დაკავშირებას. თუ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ვარ მიუღებელი, არც ეს არის ტრაგედია,“ – აღნიშნავს მაია ლაპიაშვილი.

თავის მხრივ სკოლის დირექტორი პროკურატურის მიერ საქმის შეთითხვნაზე საუბრობს. მაია ლაპიაშვილი იმ პროკურორების გვარებსაც ასახელებს, რომლებიც ამ საქმეს უსამართლოდ წარმართავდნენ. ის ამბობს, რომ პროკურორი დუღაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების დაკვეთით მოქმედებდა და ქრთამის მოლოდინში იყო. მაია ლაპიაშვილმა დედოფლისწყაროს იმდროინდელი საკრებულოს თავმჯდომარის ლევან ბაღაშვილის დედა, თამარ ბაღაშვილი დაამარცხა, რომელსაც სკოლის დირექტორობა სურდა და ბაღაშვილი, რომელიც „ნაცმოძრაობის“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო მას გამუდმებით ამიტომაც ებრძოდა:

„ყველაზე ამაზრზენია პროკურორ დუღაშვილის საქციელი, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების დაკვეთით და საქმის დასახურად ჩემთან შემოთვლილი ქრთამის მოლოდინში იმდენხანს „მიკერავდა“ საქმეს, რომ თვითონაც აირია თავის მოგონილ ჩახლართულ ისტორიებში და უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა საკუთარ ზღაპრებში მონაწილე ცრუმოწმეები, რომელთა ჩვენებები გამტყუნდა, ნაწილი ბოდიშებით მომიბრუნდა... ბოდიში საქმეს არ შველის, საქმეს შველის სიმართლე, კიდევ კარგი, სიმართლეს ყოველთვის ვამტკიცებ. საპროცესო არანაირ გირაოს არ გულისხმობდა, ბრალის აღიარება გაურკვეველი თანხის მითვისებაზე, მიყენებული ზარალის ანაზღაურებით. ანუ, საუბარია 1 160 ლარზე, როგორც თქვა პროკურორმა, რომელიც თითქოს მივითვისე. თუმცა, საქმეში ამ რაოდენობის თანხა ვერ ვნახე. დანარჩენი არც კი მოვისმინე, მაშინვე უარი განვაცხადე — მე ვერ ვაღიარებ არარსებულ დანაშაულს, რა გინდ საშეღავათო პირობებიც უნდა შემომთავაზონ. თავისთავად, თანამდებობიდან მშვიდობიანად წასვლაც იგულისხმებოდა, თუმცა საუბარი აღარ გამიგრძელებია. მე, რა თქმა უნდა, უარი ვთქვი ამ გარიგებაზე და ვაპირებ ბოლომდე საქმის მიყვანას. ეს ჩემი ღირსების საკითხია. გარდა იმისა, რომ არსებობს ფორმალური მხარე, არსებობს, რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მორალური მხარეც... როგორც უდანაშაულო ადამიანი, ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ. ქრთამის მოლოდინში მყოფი პროკურორ დუღაშვილის დანაშაულებები მალე

(დასასრული გვ. 8)

სარედაქციო ფოსტის მიმოხილვა

გაღმა შეედავე, გამოღმა დაგრჩებაო...

რედაქციაში ქ. დედოფლისწყაროს გოგებაშვილის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური წერილი შემოვიდა. წერილს ხელს რვა მოქალაქე აწერდა და წუხილს გამოთქვამდა ამავე ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქის ნოდარ ყოჩიაშვილის საქციელის გამო, რომელსაც ეზოში მოზრდილი საღორე აქვს და მეზობლები ანტისანიტარიის და სუნის გამო წუხდებიან. ეს თემა, როგორც იტყვიან, არ ახალია, ძველია. ეს ამბავი წლების განმავლობაში გრძელდება. თუმცა, ჯერ წერილს გაგაცნობთ და დანარჩენზე ქვემოთ ვილაპარაკოთ.

ნოდარის ღორები

მკითხველო, არ გეგონოს შემეშალა, ბაკულას ღორებზე კი არ მოგახსენებთ, არამედ გოგებაშვილის ქუჩის N14–ში მცხოვრები ნოდარ ყოჩიაშვილის შესახებ მოგითხრობთ, რომელსაც ეზოში აქვს მეღორეობის ფერმა. თუ ბაკულას ღორები ერთ ოჯახს აზიანებდნენ, ნოდარის ღორები მთელ უბანს გაუსაძლის მდგომარეობაში გვამყოფებენ. მსოფლიოში არსებული ბერმუდის სამკუთხედი თუ იზიდავს დასაღუპავად განწირულ გემებს, თვითმფრინავებს, ხალხს, ჩვენს ქუჩაზე მყოფი სამკუთხედი პირიქით, განიზიდავს. აქ ხალხი აღარ დადის. თითქოს კეთროვანები ვიყოთ, ისე გვერიდებიან. ვინც ამ ეზოს ნახავს, დიდი ილიას ხატოვანი ენით აღწერილი ლუარსაბის კარმიდამო ხუთვარსკვლავიან სასტუმროდ მოეჩვენება.

უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ბევრი გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე შევაწუხეთ, რედაქციასაც რამოდენიმე წერილით მივმართეთ, რეაგირებაც მოახდინეს, დააჯარიმეს კიდევაც, მაგრამ ნოდარ ყოჩიაშვილს ვერაფერი შეასმინეს. ახლა ზაფხულის მოსვლას შიშით ველოდებით, რადგან ვიცით, რომ გამძაფრდება სუნი, გამრავლდებიან მღრღნელები, ბუზები და ათასი უბედურება. ამიტომ ახლაც დავწერეთ საჩივარი, გამგეობიდან გამოგზავნეს წარმომადგენელი, რომელმაც გაფრთხილება მისცა ნოდარს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, შეაყარე კედელს ცერცვი! სახლსა და საღორეს შორის არის ათიოდე მეტრი. ამ პატარა ადგილში ისე იყო აღმართული ღორის ნაკელის პირამიდები, რომ მარტო წელს გაიტანა სამი ავტომანქანა „კამაზი“, ე. ი. დაახლოებით 30 ტონა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ანტისანიტარია იქმნება. ვინც დაინტერესდება, შეუძლია მოვიდეს ჩვენს ქუჩაზე, ეზოში გადასვლაც არ არის საჭირო, ჩამონგრეული ჭიშკრიდანაც კარგად ჩანს ყველაფერი. ნაკელი კი გაიტანა, მაგრამ თუ ღორები არ მოაშორა აქედან, უკვე ნაკელის ახალი კონუსები გაჩნდა, საღორე კი გაარემონტა, გაყიდული ღორების ადგილას ახლები მოიყვანა, უბნის მცხოვრებნი, მაპატიეთ და, ფეხებზე დაიკიდა და არის არხეინად, ვითომც არაფერი მომხდარა. საღორე ისე ახლოს არის მიდგმული გიგაურების სახლთან, რომ ღორების შარდისგან, რომელიც მიწაში იჟონება, ისეა დანესტილი სახლის კედელი,სუნს ხომ აღარ ვჩივი და იატაკი მილპებაო, შემოგვჩივის ნათელა გიგაური. იქვე მცხოვრებ ნათელა გონაშვილს კი სარეცხი დედისეულ სახლში მიაქვს გასაშრობად, რადგან თავის ეზოში ვერ გაუფენია. სუნსაც იღებს და „ძმვენივრად ლამაზდება“ ბუზების ნაჯდომებისგან. ღორებთან ერთად ძაღლებიც ჰყავთ და რადგან ჭიშკარი არა აქვთ, გამვლელებს საფრთხეს უქმნიან. ერთხელ ნანა ჭიღიტაშვილს მაღაზიიდან პროდუქტი მოჰქონდა და ეზოს რომ გაუსწორდა, ისე გამოენთო ძაღლი, რომ შეშინებული ქალი წაიქცა, ფეხი ხომ კინაღამ მოიტეხა და პროდუქტიც ისე გაეფანტა გზაზე, რომ ისიც იმავე ძაღლის საკბილო გახდა. დაზარალებულმა კი ნოდარისგან ბოდიშის მაგიერ კახური ლანძღვა-გინების კორიანტელი მიიღო, უბანი რატომ ამიბუნტეო. დავდივართ ახლა ჯოხებით შეიარაღებულნი, ნანას ბედი რომ არ გავიზიაროთ. საინტრესოა, ძაღლი რაღად უნდათ? მანდ ქურდი ვერ შევა, მით უმეტეს ღამით, რადგან ისეთი დომხალია, თუ თავ-პირი არ დაიმტვრია, ფეხს მაინც აუცილებლად მოიტეხს. გთხოვთ, გამოაქვეყნოთ უბნის ჭირ-ვარამი, იქნებ ტელევიზიასთანაც დაგვაკავშიროთ, ან რესპუბლიკის სანიტართან. ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ვართ. მოვითხოვთ, ან ღორები გაიყვანონ, ან ჩვენ გადაგვასახლონ. არ გვინდა უკიდურესი ზომების მიღება, მაგრამ თუ ახლაც ვერ მივიღებთ შედეგს, იძულებულნი ვიქნებით სხვა ინსტანციებს მივმართოთ.

თუმცა, სიმართლე გითხრათ, დიდი იმედიც არა გვაქვს, რომ რამეს მივაღწევთ. ამას მრავალი წლის გამოცდილება გვკარნახობს, მაგრამ „ცდა ბედის მონახევრეაო“ და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ჩვენს გასაჭირს. იქნებ ნოდარის ნამუსის პატარა ძაფი მაინც შემორჩა და უკან გადადოს თავისი ეგოისტური მიზნები. თუ კიდევ არაფერი გვეშველა, მეტი რა გზა გვაქვს, ალბთ უნდა ავიტანოთ „მუშკ-ამბრის“ სურნელებისა და ღორების ღრუტუნ-ჭყვიტინში იავნანასავით ტკბილად ჩაძინებული დედა-შვილი.

გოგებაშვილის ქუჩის მცხოვრებნი:

ნ. ჭიღიტაშვილი
ლ. ბრეგაძე
ნ. წიკლაური
ნ. მეხრიშვილი
ვ. გონაშვილი
ბ. პოპიაშვილი
ტ. ფიროსმანაშვილი
ზ. ბიკაშვილი

* * *

ფოტოაპარატი გავიყოლე და გოგებაშვილის ქუჩის 14 ნომერს ვესტუმრე იმ იმედით, რომ მასპინძელი, მართლაც მასპინძლურად დამხვდებოდა. ვიფიქრე,ტკბილად დაველაპარაკები, ვთხოვ, ადამიანურად ავუხსნი, რომ ასეთი საქციელი არ ვარგა, რომ მეზობელს და გვერდით მყოფს ანგარიში უნდა გაუწიო-მეთქი და სხვა. ჭიშკრამდეც არ ვიყავ მისული, საღორის სურნელება რომ მეცა. ეზოში შესულს სწორედ ის ვითარება დამხვდა , რაც წერილში ეწერა, ოჯახის პატრონებს ვუხმე. მარტო მოხუცი, გამხდარი, ხელაკაუჭებული ქალბატონი გამომეხმაურა. რაშია საქმეო, მკითხა. მე ჩემი მისვლის მიზეზი ავუხსენი და ბატონი ნოდარი მოვიკითხე. სახლში არ არისო,- მიპასუხა. მაშინ ნებართვა ვითხოვე, ფოტოებს გადავიღებ და ნოდარი რომ მოვა, აუცილებლად მნახოს- მეთქი. ქალი ბოდიშს იხდიდა, დიდი ხნის ნაგროვები ნაკელი უკვე გავიტანეთ და ამასაც მალე გავიტანთო. ორი სურათი გადავიღე და... ჭიშკართან (რა თქმა უნდა, მას ჭიშკარი პირობითად შეიძლება ვუწოდოთ, რადგან მოღიავებულ და მიგრეხილ- მოგრეხილ ფიცხების გროვას ჭიშკარს ვერ დაარქმევ) „მარშუტკა“ გაჩერდა.

- აი, ნოდარიც მოვიდა, ალბათ მუშებიც მოიყვანა, რომ ნაკელი გაიტანოსო,- თქვა ქალბატონმა თინამ. ეზოდან უკვე გამოვდიოდი, ნოდარი რომ შემოვიდა. იმას, რაც იქ მოხდა, გულწრფელად ვამბობ, ნამდვილად არანაირად არ მოველოდი. 42 წელია, რედაქციაში ვმუშაობ, ამ ხნის მანძილზე საზოგადოებრივ საწყისებზე 18 წელი მსაჯულთა საბჭოს წევრი ვიყავ, ორგზის - საქალაქო საბჭოს დეპუტატი, სახალხო კონტროლის ინსპექტორიც გახლდით, მრავალნაირი დავის, ოჯახური თუ სამეზობლო უთანხმოების მომსწრე და მომრიგებელი ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი შეურაცხყოფა არასოდეს არავის უკადრებია - ვინა ხარ, აქ რას აკეთებ, ვინ მოგცა უფლება ქუჩის შიგნით გადმოსვლის?- მიყვიროდა ნოდარი და ჩემსკენ იზიდებოდა. მე ვცდილობდი, სიმშვიდე შემენარჩუნებინა და თბილად მივმართავდი: - დაწყნარდი და მომისმინე, მე გაზეთ „შირაქის“ რედაქტორი ვარ, საჩივარი შემოვიდა, მეზობლები წუხდებიან თქვენი საღორის სუნით და ანტისანიტარიით - მეთქი, ვცდილობდი გამეგებინებინა. შენც არ მომიკვდე, ვინ გისმენდა, თავისას გაჰკიოდა, იმუქრებოდა და იგინებოდა ყველას მისამართით. აუგად მოიხსენიებდა და უცენზურო სიტყვებით ამკობდა მეზობლებს.- ვისი რა საქმეა, არა მაქვს უფლება, ღორები მყავდეს, აბა, რით ვიცხოვრო, უმაღლესი განათლება მაქვს, მომცეს მთავრობამ 1000-1500 ლარიანი სამსახური და აღარ მეყოლება ღორები, თქვენც ხომ გყოლიათ ღორები ეზოში?-აგრძელებდა იგი ჩემს დატუქსვას.- მყოლია, როგორ არ მყოლია, ყველაფერი მყავს: ღორიც, ქათამიც, იხვიც, კურდღელიც, მაგრამ ჩემს ეზოში ერბო აიკრიფება, არავინ შემიწუხებია, დილა- საღამო ვასუფთავებთ- მეთქი, ვპასუხობდი, მაგრამ ყურს არ მიგდებდა. მივხვდი, მასთან საუბარი არანაირად არ გამოვიდოდა, დავტოვე და წამოვედი. ის მაინც ბობოქრობდა, უშვერი სიტყვებით იხსენიებდა რაიონის ყოფილ ხელმძღვანელობას და ზოგიერთ სამართალდამცავ თანამშრომელს, რომლებიც, თურმე, ატერორებდნენ და რაღაც-რაღაცეებს „აწერებდნენ“. მეზობელ ქუჩაზე გადანაცვლებულს, სადაც ასევე „სასიგნალო ზარის“ გადსამოწმებლად გადავედი, ნოდარი ისევე მომადგა და კვლავ თავის „სიმართლის“ მტკიცებას და მთელი „ქვეყნიერების“ მისამართით საყვედურს გამოთქვამდა მისი „დაჩაგვრისთვის“, მათ შორის რედაქციისაც:- ადრეც ხომ დამწერეთ და გამომაჭენეთ, რაღა გინდათო. და რადგან პირად საუბარში ვერაფერი გაგაგებინე, ახლა მინდა წერილობით მოგმართო, იქნებ მოიკრიბო ნებისყოფა, გულდასმით წაიკითხო, გაანალიზო ეს წერილი და დასკვნა გამოიტანო:

ბატონო ნოდარ, აბა, დაფიქრდი, განა ღირს ამდენ ნერვიულობად ეს საქმე, რომელსაც სულ მარტივი გამოსავალი აქვს? მე, როგორც უფროსი და ან მეგობარი, გირჩევ და გთავაზობ, გადაიყვანო ღორები ეზოდან იმ ფერმაში, რომელიც შენ გაქვს ქალაქგარეთ. იქაც ხომ მაინც უვლი მათ, კარები არა აქვს და იქ იმიტომ ვერ წავიყვანო, მითხარი. ერთი ღორის ფასი სულ ეყოფა იმ საღორის კარებს და მოწყობას, შენც დაისვენებ და მეზობლებიც აღარ დაგემდურებიან. ცხოვრება ხომ ისედაც ერთი წამია, რატომ ირთულებ ურთიერთობებს, სიყვარული ხომ უფრო სასიამოვნოა, ვიდრე სიძულვილი. მე ყურებში დღესაც მესმის დედაშენის სასოწარკვეთილი მუდარა, როცა განრისხებული მეჩხუბებოდი, გაჩერდი, შვილო, დაწყნარდი თორემ შაქარი აგიწევს და ცუდად გახდებიო. შენ კი არაფერს ისმენდი. საინტერესოა, რატომ იჩენ პრობლემებს ან ჯანმრთელობაში, ან ადამიანებთან ურთიერთობაში. ქონებაც და მონაგარიც ხომ იმიტომ გვინდა, რომ ადამიანმა კომფორტულად და სიამოვნებით იცხოვროს. დამერწმუნე, „გაღმა შეედავე, გამოღმა დაგრჩებაო“ ამ პრინციპით ცხოვრება არ არის გამართლებული. ეს ჩემი რჩევა კეთილი განზრახვაა შენს მიმართ და არა გამოჭენება, როგორც შენ შეიძლება აღიქვა. ვისურვებდი, ეს თქვენი შვიდწლიანი სამეზობლო „ომი“ დასრულდეს და მშვიდობიანად, ურთიერთპატივისცემით გააგრძელოთ ცხოვრება.

პატივისცემით,
ნაირა გორაშვილი.



ზემოქედელების მუქარა „ჯეოაგროს“

„სამართლიანობის აღდგენამდე სამართალს ჩვენ აღვასრულებთ...“

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის მოსახლეობა 2010 წელს გასხვისებული 3600 ჰექტარი მიწის ნაკვეთის დაბრუნებას ითხოვს. საქმე ე. წ. 0,7-ებს ეხება, რომელიც მოსახლეობას იჯარით ჰქონდა აღებული და რამდენიმე ადამიანზე იყო გაპიროვნებული. მოსახლეობის განცხადებით, ეკონომიკის სამინისტრომ მათ საშუალება არ მისცა ის მიწები შეესყიდათ, რომელსაც წლების განმავლობაში იჯარით ფლობდნენ. მოსახლეობის ფარულად სამინისტრომ მიწის ნაკვეთი აუქციონის წესით კომპანია „ჯეოაგროს“ მიჰყიდა. დღეს კი, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მოსახლეობა მიწის გარეშეა დარჩენილი, ამ მიწის გადასახადები კვლავ მათ სახელზე ირიცხება. ამ მიზეზის გამო ბევრ მათგანს ქონებაც დაუყადაღეს.

„მიწებს ისინი ამუშავებენ, გადასახადები კი კვლავ ჩვენს სახელზე მოდის. ხალხს პენსიებსაც კი უკავებენ, იმისთვის რომ ე. წ. დავალიანება იძულებით დააფარინონ. გაყიდული რომ იყოს, მაშინ გადასახადები ჩვენ აღარ მოგვივიდოდა. არ აქვთ ნაყიდი, ისე აქვთ წაღებული“- აცხადებს ზემოქედელი გივი ჩოხელი და ეჭვს გამოთქვამს, რომ კომპანია „ჯეოაგროს“ სიმბოლურ ფასად აქვს ნაყიდი მოსახლეობის კუთვნილი ქონება.

გელა ბექაური კი მიიჩნევს, რომ ამ კომპანიის უკან წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნები იდგნენ:“2010 წელს სოფლებს: ზემო ქედსა და არხილოსკალოს ჩამოერთვათ ნაკვეთები და უკანონოდ გასხვისდა ოკუპანტ კომპანია „ჯეოაგროზე“, რომლის უკანაც დგანან მერაბიშვილი, ცისკარიშვილი და სააკაშვილი. ჩვენ არაფრით არ დაგვეხმარნენ- არც საწვავით, გადასახადებიც გაგვიძვირეს, მერე მოიგონეს აუქციონი და მიწები ისე გაასხვისეს, არც ჩვენ და არც გამგეობას არ გაგვაგებინეს. ესეც არ იკმარეს, ამოყარეს მილიონიანი სარწყავი სისტემა და ჯართის სახით კაპიკებად გაყიდეს. იმ ადამიანებსაც უსინდისოდ მოექცნენ, ვისაც მოსავალი უკვე დათესილი ჰქონდა- გამოყარეს და მოსავლის აღების საშუალებაც არ მისცეს. კომპენსაციაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია“- ამბობს გელა ბექაური და პრობლემის გადაჭრას ახალი ხელისუფლებისგან ითხოვს. მის აზრს სრულად იზიარებენ ზემო ქედელები, რომლებიც პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში პერმანენტული აქციებით და შპს „ჯეოაგროს“ მოსავლის განადგურებით იმუქრებიან.

„ინვესტორები ხალხთან კონტაქტზე არ გამოდიან. ამბობენ, რომ კომპანიის მფლობელი ყაზახი ინვესტორია. ჩვენ ეს ნაკლებად გვაინტერესებს. ჩვენ ვითხოვთ, აღდგეს სამართლიანობა და დაგვიბრუნდეს უკანონოდ გასხვისებული ქონება. ახლა დაიწყო სოფლის დახმარების პროგრამა, სოფელში კი ხალხს მიწა აღარ აქვს. ამის გამო სოფელში ხალხის მიგრაციაა. მიწის გარეშე სოფელი სულ მთლად დაიცლება.ჩვენ პატრიოტი ხალხი ვართ და ამას არ დავუშვებთ. თუ ხელისუფლება ამ პრობლემას ვერ გადაჭრის, ჩვენ ამ კომპანიას მოსავლის აღების საშუალებას არ მივცემთ და თუ საჭირო გახდება, მოსავალსაც გადავწვავთ “-აცხადებს ზემო ქედის მოსახლეობა და პროტესტის უკიდურესი ფორმით იმუქრება.

„მიწის გარეშე სოფელს დაცლა ემუქრება“...

დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლება აცხადებს, რომ პრობლემის არსი მათთვის ცნობილია, თუმცა საკითხის გადაწყვეტა ადგილობრივ დონეზე წარმოუდგენელია. მოსახლეობა უახლოეს დღეებში სასამართლოში აპირებს დავის გაგრძელებას.

ინგა შიოლაშვილი

შეხვედრა ადგილობრივ მედიასთან

(მესამე გვერდიდან)

- რაც შეეხება ჟურნალისტ ილია მარტყოფლიშვილის მიერ პრემიერ-მინისტრის შეხვედრაზე დასმულ კითხვას სამთაწყაროს თაობაზე, ხომ არ მიგიღიათ უკვე რაიმე სახის დირექტივა მთავრობის მხრიდან?

- ეს თემა თქვენ იცით, რომ არ არის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გადასაწყვეტი საკითხი, ეს ფინანსთა სამინისტროს და სასაზღვრო უწყების პრეროგატივაა. ყოველ შემთხვევაში, როდესაც ჟურნალისტმა პრემიერისგან მიიღო დაპირება, წლის განმავლობაში შესრულდება.

- ძალიან ხშირად ისმის კითხვა, კეთდება თუ არა ქოჩების ტბა? ეს კითხვა განსაკუთრებით აქტუალური გახდა არჩევნებამდე და არჩევნების შემდგომაც, მას შემდეგ კი უფრო მეტად, რაც სიბაშვილი ამ საქმეზე დაიკავეს. რას იტყვით ამაზე?!

- რატომღაც ადამიანებში არის ისეთი განცდა, რომ წინა ხელისუფლება აკეთებდა ტბას, ამაზე ერთხელ უკვე გავაკეთე განცხადება და კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ შეგიძლიათ ჩაბრძანდეთ და საკუთარი თვალით იხილოთ, თუ რაში დაიხარჯა 75 ათასი ლარი, რა არის გაკეთებული - ხომ საინტერესოა არა?! როცა ისმის ხოლმე კითხვა, რატომ დაიჭირეს წინა ხელისუფლების წარმომადგენლები და თვლიდნენ, რომ ის სრულიად უსამართლოდ იყო დაჭერილი, ჩადით და ნახეთ, დაინტერესდით ამ საკითხით. ეს ყველაფერი ჰგავს, თუნდაც წელს ჩვენს მიერ გაკეთებული ნაგავსაყრელის ამბავს, ყველა დაინახავს, რომ სავსებით კარგი, თანამედროვე ნაგავსაყრელი მივიღეთ ისეთი, რომლითაც ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს. იმდენად პატარა ციფრი დაჯდა-4 900 ლარი, არადა ამ ნაგავსაყრელის გაკეთებაზე შარშან 30 000 ლარია გახარჯული, თუმცა მე იქ გაკეთებული ვერაფერი ვნახე. წელს ჩვენ 4900 ლარში მივიღეთ მშვენიერი ნაგავსაყრელი.მოკლედ, აბსოლუტურად ყველაფერზე ვფიქრობთ, რომ ეკონომია გავაკეთოთ. მე მარტივ მაგალითს გეტყვით, წელს დედოფლისწყაროს გამგეობის ბიუჯეტი მარტო სატელეფონო მომსახურებიდან 25 000 ლარის ეკონომიას ნახავს ყოველგვარი სატელეფონო შეზრუდვის გარეშე, რაც ნიშნავს იმას, რომ სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში შესაძლებელია გაცილებით იაფად ვისაუბროთ და ეკონომია გავწიოთ.

- ამ დღეებში სოფლებში გასვლაც გიწევთ და თითოეულ სოფელში მშვენიერი საჩუქრით, წითელი ჯვრის წარმომადგენლობით მიდიხართ. რას ნიშნავს ეს საქველმოქმედო აქცია?!

- ჩვენი მიზანია, რომ ყველა დედოფლისწყაროელი გადიოდეს უფასო სამედიცინო შემოწმებას, რომლის ფუფუნება ალბათ მოსახლეობის 80 % არა აქვს, ყველა სოფელში მივსულიყავით და უფასოდ ხუთი სხვადასხვა პროფილის სამედიცინო მომსახურება მიეღო თითოეულ მოქალაქეს, ექოსკოპია იქნებოდა ეს თუ ანალიზები და ა.შ. ჯერჯერობით მოვიცავით ექვსი სოფელი -ოზაანი, არბოშიკი, გამარჯვება,ქვემო ქედი, არხილოსკალო, ზემო ქედი, თითოეულ სოფელში დაახლოებით მოვიდა ასი ადამიანი, რომელმაც გამოიყენა ეს შემთხვევა, როგორც ირკვევა, ამგვარი სამედიცინო მომსახურება იგივე აპარატურით მოქალაქეს რომ გაევლო თბილისში, დაახლოებით 300 ლარამდე დაუჯდებოდა. წარმოიდგინეთ, ექვს სოფელზე დაახლოებით ექვსასამდე ადამიანს მოემსახურნენ, რაც მთლიანობაში 180 000 ლარია, ამ შემთხვევაში ამაზე უკეთესი სიკეთე რა უნდა მიგვეტანა ხალხისთვის საკუთარი სახლის კარამდე, თუ არა საკუთარი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, რომელიც მათ წითელი ჯვრის ორგანიზაციის სახით მივუყვანეთ. ალბათ გაჩნდება კითხვა- ეს 180 000 ლარი დედოფლისწყაროს ბიუჯეტმა გაიღო თუ არა, დედოფლისწყაროს ბიუჯეტმა გაიღო მხოლოდ ამ ექიმების ტრანსპორტირების, კვების და სასტუმროს ხარჯები, ხოლო წითელი ჯვრის ორგანიზაცია, ჩვენთან დამეგობრებული ორგანიზაციაა და სრულიად უანგაროდ წამოვიდნენ ჩვენს ამ თხოვნაზე.

მოგეხსენებათ, ბაღებში გადასახადი გავაუქმეთ. თუ შარშან და შარშანწინ პრეზიდენტის ბიუჯეტიდან ირიცხებოდა 40 000 ლარი, მას ადგილობრივი ბიუჯეტი ამატებდა 20 000 ლარს და 450 ოჯახი ღებულობდა შეშას ან შეშის ფულს, წელს ჩვენ ეს გავაკეთეთ 730 ოჯახზე, პრაქტიკულად ეს ყველაფერი ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით გახლდათ ორგანიზებული, არც 8 ლარიანი და არც თორმეტლარიანი დახმარება არ შეგვიზღუდია, რაც ეხებოდა უფასო ელექტროენერგიას მრავალშვილიანებზე და ინვალიდებზე, ფაქტურად ეს ყველაფერი არის ნათელი მაგალითი იმის, თუ რას აკეთებდნენ და რას ვაკეთებთ წელს ჩვენ.

- ის, რომ სოციალური დახმარება ბევრს შეუწყდა და არაერთხელ გააშუქეს კიდეც, რომ მისი ციფრობრივი მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, ამაზე რა მოსაზრების ბრძანდებით?!

- ეს გახლავთ სოციალური სამსახურის პრეროგატივა და ჩვენ მათ საქმიანობაში არ ვერევით. ჩვენ მხოლოდ შუამდგომლობას ვუწევთ მოქალაქეებს, თუ მათ კიდევ უნდათ გადამოწმება. დახმარებების შეწყვეტის საკითხის შესახებ მეც ვფლობ ინფორმაციას, დავინტერესდი და რამდენადაც გავერკვიე, უბრალოდ ამ მოქალაქეებს დახმარების მიღების ვადა ამოეწურათ და საჭიროებენ ხელახალ გადამოწმებას. უბრალოდ თვემ მოუწია ასე, რომ წლის დასაწყისს დაემთხვა, თორემ ეს ჩვეულებრივი პროცესია და ყოველწლიურად ხორციელდება ხოლმე. მოგეხსენებათ, ახლა მიმდინარეობს კანონმდებლობის შეცვლის პროცესი და ცვლილებასთან დაკავშირებით ცოტა ხანი შეფერხდა ყველაფერი. ამიტომ მოსახლეობა ნუ დაიბნევა, მიიღოს ეს ჩვეულებრივად, ყველაფერი ძალიან მალე დალაგდება და ძალიან სწრაფად შეამჩნევენ უკეთესობას.

გარდა ამისა, იცით, რომ მიღების დღე საერთოდ მოვსპეთ ჩვენს მუნიციპალიტეტში და ნებისმიერ დღეს ნებისმიერი მოქალაქისთვის ღია გვაქვს კარი. თქვენ იცით, რომ ყველა სამსახურს უკვე დაერქვა სამსახური და უფროსს - უფროსი, ყველაფერს ვაკეთებ პირადად მე იმისთვის, რომ შევქმნათ ის გარემო, სადაც არცერთ მოქალაქეს არ ჰქონდეს შეგრძნება იმის, რომ მას გამგებელთან თხოვნა და ხვეწნა დასჭირდეს. ჩვენ გვინდა ასეთი გარემო შევქმნათ,- არავის არ სჭირდება გამგებლის მოწყალება, ეს მისი კონსტიტუციური უფლებაა და მას სრული უფლება აქვს მიიღოს კუთვნილი. მინდა, რომ მალე ჩვენი გამგეობა ისეთი გახდეს, როგორიც თითოეულ ჩვენს მოქალაქეს უნდა რომ იყოს და მჯერა, ასეც იქნება.

- ხშირად გაისმის ფრაზები, რომ დედოფლისწყროში ყველაფერს ეშველება, მაგრამ არაფერი არ ეშველება ჯანდაცვის სფეროს, ამას როგორ შეაფასებდით?

- აუცილებლად ეშველება. მე რამდენიმე დღე გავატარე თბილისში იმისთვის, რომ შევხვედროდი ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს, შევხვდი ყველას აბსოლუტურად, ვისთანაც შეიძლებოდა მივსულიყავი.იყო ჩამოსული საგანგებო სიტუაციების მართვის ხელმძღვანელი, აქ ჩვენ უბრალოდ დროში ვართ შეზღუდულნი, თავის დროზე ეს საავადმყოფო რა ფორმითაც იქნა გასხვისებული, ცხადია, ვიღაცას ალბათ უფრო მეტი ინტერესი უნდა ჩაედო თავის მიერ აღებულ პასუხისმგებლობაში, მაგარამ ეს ესე არ მოხდა. ფინანსურ საკითხებში არ ვერევით და არც გვაქვს უფლება, დაზღვევამ ვის გადაურიცხა და „არქიმედემ“ ვის, ხოლო შემდეგ „ადითმა“ სად წაიღო ეს თანხები, ამაში უკვე აღარ ვერევით, ჩვენ ვეძებთ გამოსავალს, თუ რა იქნება მომავალში. აქ მთავარი პრინციპი არის ის, რომ მათ ვალდებულება ჰქონდათ აღებული, რომ უნდა გაეკეთებინათ 20 თუ 30- კაციანი კლინიკა, თუმცა თქვენ იცით, რომ ვადები ამოიწურა და ფაქტია, არაფერი არ არის გაკეთებული, შესაბამისად, პირადად ვიბრძვი, როგორ შეიძლება მივიყვანოთ საქმე ბოლომდე და როგორ შეიძლება გადაწყდეს ეს საკითხი, სწორედ ამ ყველაფერზე ვზრუნავ. იყო ჩამოსული ერთ - ერთ დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შეხვდა მედ- პერსონალს, დაათვალიერა სავადმყოფოც და პოლიკლინიკაც და დაისახა გზები. წინასწარ თავს შევიკავებ იმ ინფორმაციის გაჟღერებისგან, რასაც ვფლობ, დაველოდოთ ერთ თვეს, თვენახევარს და გამოჩნდება ყველაფერი.

შეხვედრის დასასრულს ბატონმა ირაკლიმ და ჟურნალისტებმა ერთობლივად კიდევ ერთხელ განვიხილეთ ის, რომ დედოფლისწყაროში მოქმედმა მედია- საშუალებებმა უნდა შევქმნათ ჯანსაღი კონკურენცია ჯანსაღ გარემოში, რათა ერთმანეთის განვითარებას შევუწყოთ ხელი, რაშიც უდაოა, სწორი და სამართლიანი კუთხით ყოველთვის ჩვენს გვერდით იდგება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა.

ლალი მეხრიშვილი

ზუსტი მიწათმოქმედების ტექნოლოგიის ათვისების პერსპექტივები

დღეისათვის საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია მიწის ეფექტურად გამოყენების პრობლემა. მიწა, როგორც წარმოების საშუალება შესაძლებლობას გვაძლევს დავძლიოთ ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როგორიცაა ქვეყნის მოსახლეობის სურსათზე ხელმისაწვდომობის კოეფიციენტის გაზრდა, რომელიც FAO-ს მონაცემებით საქართველოში სიცოცხლის უნარიანობის კრიტიკულ ზღვრებში მერყეობს. მიწის არაეფექტურად გამოყენებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ყოველწლიურად საქართველოში დაუმუშავებელი მიწის ფართობი იზრდება 10 ათასობით ჰექტარით, რაც შედეგია იმისა რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების დღეისათვის არსებული ტექნოლოგიები ხასიათდებიან მაღალი ენერგოდანახარჯებით და ასეთი ტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქცია დაბალკონკურენტუნარიანია. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტურ გზას წარმოაგენს ისეთი ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც იძლევა საშუალებას ერთდროულად გავზარდოთ მოსავლიანობა და შევამციროთ ენერგოდანახარჯები.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოში ფართოდ ინერგება ზუსტი მიწათმოქმედების ტექნოლოგია. იგი მიეკუთვნება რესურსდამზოგ ტექნოლოგიებს და თავისი განმარტებით წარმოადგენს ნათესი ფართობების პროდუქტიულობის მართვის სისტემას, რომელიც საჭიროებს კაცობრიობის თანამედროვე მიღწევების გამოყენებას.

ზუსტი მიწათმოქმედების ტექნოლოგიის მიზანია მოვახდინოთ ნაკვეთების ინტენსიფიკაცია და ოპტიმიზაცია და დავამუშავოთ მეურნეობის მართვის სტრატეგია ნაკვეთებში ცალკეული ფართობების გათვალისწინებით. ზუსტი მიწათმოქმედების ტექნოლოგიას საფუძვლად უდევს თეორიული მოსაზრება ნიადაგის არაერთგვაროვნების შესახებ და მის ყოველ კვადრატულ მეტრს განიხილავს, როგორც არაერთგვაროვან გარემოს, რომელიც საჭიროებს დიფერენცირებული თესვას, სასუქების და ქიმიური საშუალებების შეტანას და სხვა აგროტექნოლოგიური ოპერაციების შესრულებას.

ზუსტი მიწათმოქმედებისათვის არსებობს 2 სტარატეგია: ჰომოგენური ყანა და ჰეტეროგენული ყანა. ჰომოგენური ყანა აიოლებს აღების პროცესს და ამცირებს მოსავლის აღების პროცესში დანაკარგებს, მაგრამ თუ ნიადაგის ფონი არ იძლევა ჰომოგენური ყანის მოყვანის საშუალებას (მაგალითად: ნაკვეთის ერთ ნაწილში არის ჩრდილის ეფექტი, ან სხვა) მაშინ უნდა ავირჩიოთ ჰეტეროგენური ყანის სტრატეგია და გამოვიყენოთ ოპტიმალური მოსავლიანობისათვის წარმოებისათვის მხოლოდ აუცილებელი საშუალებები.

ნიადაგის არაერთგვაროვნების აღმოჩენის შეფასების და აგროტექნიკური ღონისძიებების შესრულებისათვის გამოიყენება გლობალური პოზიციური სისტემები (GPS), სპეციალური გადამწოდები, მობილური ლაბორატორიები, აეროფოტო გადაღებები, სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, გეოინფორმაციული სისტემები (GIS), სასოფლო-სამეურნეო მანქანების მართვის ავტომატური სიტემები და სხვა.

ზუსტი მიწათმოქმედების ტექნოლოგია პირობითად შეიძლება დავყოთ 3 ეტაპად: 1. მონაცემების აღება; 2. მონაცემებს ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება; 3. ოპერაციების შესრულება.

მონაცემების აღება ითვალისწინებს: ნაკვეთის ფართობების დადგენას; მოსავლიანობის რუკის შედგენას; ინფორმაციის შეგროვებას მცენარის ვეგატაციურ პროცეზებზე; ნიადაგის სინჯების აღებას, აეროფოტო გადაღებას და სხვ.

მონაცემების აღების პირველ ეტაპს წარმოადგენს ნაკვეთის ელექტრონული რუკის შექმნა. იგი ხორციელდება პერსონალურ კომპიუტერთან ადაპტირებული GPS მიმღებით ან ე. წ. ჯიბის კომ-

პიუტერით, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს GPS მიმღებსაც. ნაკვეთის ფართობის დაგენისათვის GPS მიმღებით შემოვლა უნდა მოხდეს ნაკვეთის გარშემო. ეკრანზე გამოჩდება ნაკვეთის კონტური და დაიწერება კონტურის შიგნით მოქცეული ფართობის სიდიდე. GPS მიმღები ასევე საშუალებას იძლევა მარტივად დადგინდეს ნაკვეთის პროდუქტიული ფართობი თუ იქ დგას ხე, მაღალი ძაბვის ბოძი, არის ჭაობიანი ადგილი ან სხვ.

მონაცემების აღებისათვის გამოიყენება მოსავლის ამღები კომბაინები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსავლიანობის რუკების შედგენას. ინფორმაცია ნაკვეთში მოსავლიანობის შესახებ გროვდება შემდეგნაირად: ნაკვეთში კომბაინის პოზიცია განისაზღვრება გლობალური პოზიციური სისტემის საშუალებით, ხოლო ბუნკერში მოცემულ პოზიციაში ჩასული მოსავლის მასის აღრიცხვას უზრუნველყოფს ელევატორში დაყენებული მრიცხველი. მოსავლის აღების დამთავრების შემდეგ შესაძლებელია მონაცემების იმპორტი პერსონალურ კომპიუტერში, სადაც ხდება მოსავლიანობის რუკის ანალიზი. მოსავლიანობის რუკა ნათელ წარმოდგენას იძლევა ნაკვეთში ნაიადაგის მდგომარეობაზე. მის მიხედვით ახდენს აგრონომი საინტერესო წერტილების მონიშვნას ნიადაგის სინჯების აღებისა და შემდგომი აგროტექნიკური ღონისძიებების დაგეგმვისათვის.

სინჯების აღება ხორციელდება GPS მიმღებით აღჭურვილი, მობილურ მანქანაზე დამონტაჟებული მოწყობილობების საშუალებით. ამ მანქანებით ხდება ნაკვეთის რუკაზე მონიშნული კოორდინატების მოძებნა და ავტომატურ რაჟიმში სინჯების აღება და მათი დანომრვა.

ზუსტი მიწათმოქმედების მეორე ეტაპს - მონაცემების ანალიზს ახორციელებს აგრონომი სპეციალური პროგრამული უზრუველყოფის საშუალებეთ.

იგი საშუალებას იძლევა შეადგინოს ნაკვეთის ელექტრონული რუკები ნიადგში საკვები ნივთიერების (ფოსფორი, კალიუმი, აზოტი, და სხვ.) განაწილების მიხედვით. შემდეგ გააერთიანოს, ანალიზი გაუკეთოს და მიიღოს გადაწყვეტილება ნაკვეთში ქიმიური საშუალებების შეტანის დიფერენცირებული ნორმის შესახებ, შეადგინოს პროგნოზირებული მოსავლიანობისა და აპლიკაციური რუკა.

აგროტეკნიკური ღონისძიებების სწორად დაგეგმვისა და სხვადასხვა სამუშაოების ჩატარებისათვის (სარწყავი არხების გაყვანა და სხვ.) შესაძლებელია რუკების იმპორტირება GIS-ში და ნაკვეთის ნახვა 3 განზომილებაში.

ზუსტი მიწათმოქმედების მესამე ეტაპის - ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულებისათვის ტრაქტორის საბორტო კომპიუტერში ჩატვირთავენ აპლიკაციურ რუკებს, რომელიც გადასცემს ინფორმაციას სასუქის შემტან, შემასხურებელ, ან სათესი მანქანის ინტელექტუალურ კონტროლიორს, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ჰიდრავლიკურ სარქველთან და ახორციელებს სასუქის, ქიმიური საშუალებების და თესვის ნორმის რეგულირებას. ტრაქტორის პოზიცია ნაკვეთში განისაზღვრება GPS-ის საშუალებით.

სასუქების დიფერენცირებული შეტანის უფრო მარტივ საშუალებას წარმოადგენს სისტემა ჩროპმეტერ (მოსავალმზომი), რომელიც მონტაჟდება ტრაქტორის წინა დაკიდების სისტემაზე. ტრაქტორის წინ დამონტაჟებული სენსორი გადაიხრება მცენარეებთან შეხების შედეგად. გადახრის სიდიდე დამოკიდებულია მცენარის სიმაღლეზე და მის ბიოლოგიურ მდგომარეობაზე, რომელიც გარკვეულწილად განსაზღვრავს ნიადაგის მდგომარეობას მოცემულ წერტილში. სენსორის საშუალებით აღებული ინფორმაცია იწერება ტრაქტორის ბორტკომპიუტერში, სადაც მუშავდება და შემდეგ გადაეცემა სასოფლო სამეურნეო მანქანის იტელექტიალურ კონტროლიორს, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება ჰიდრავლიკურ სარქველს. ჰიდრავლიკური სარქველი უზრუნველყოფს სასუქის ნორმის ავტომატურ რეგულირებას მთელ ფართობზე.

მონაცემების აღების და სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების შესრულების დროს ზუსტი მიწათმოქმედების ტექნოლოგია ითვალისწინებს პარალელური მართვის სისტემების გამოყენებას, რომელიც წარმოადგენს ზუსტი მიწათმოქმედების ტექნოლოგიის მთავარ ელემენტს.

დღეისათვის არსებობს მანქანების პარალელური მართვის რამოდენიმე სისტემა, რომელთაგანცაც ყველაზე ფართოდაა გავრცელებული პარალელური მართვის სისტემა GPS Pilot-ი. იგი ეხმარება მემანქანეს ავტომატურად მართოს აგრეგატი და მაღალი ხარისხით შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო ოპერაციები. ასევე მარტივად დაადგინოს ნაკვეთის ფართობი, ჩაინიშნოს მისთვის საჭირო კოორდინატები, სასოფლო-სამეურნეო ოპერაციები ამინდის ან სხვა მიზეზის გამო შეწყვეტის შემთხვევაში გაგრძელოს შეწყვეტის წერტილიდან, შეინახოს და გამოიყენოს ყველა ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს შესახებ და სხვ. პარალელური მართვის სისტემის მუშაობის ხარისხი განსაზღვრავს მისი ეფექტურობას.

პარალელური მართვის სისტემის GPS Pilot-ის გამოცდა მოხდა გერმანიის ქალაქ გუტერსლოს მიმდებარე ტერიტორიაზე კომპანია CLAAS AGROSYSTEMS-ის საცდელ ნაკვეთში 12.10.2010 - 12.11.2010 წელს. კვლევა დაფინანსებული იყო შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ, გრანტის პროექტი № 04/06. კვლევა ჩატარებული იყო ტრაქტორის CLAAS AXION 840-ის სხვადასხვა სიჩქარეებზე. შერჩეული იყო ტრაქტორის მოძრაობის კონტურული და სწორხაზობრივი რეჟიმები. ჩცდების ჩატარების დროს GPS Pilot-ი სიგნალს ღებულობდა საბაზო სადგურიდან RTK (Real Time Kinematic) ფორმატში რომლის სიზუსტე შეადგენს 2-3 სმ-ს. მატემატიკური სტატისტიკის მეთოდის გამოყენებით გამოთვლილი იყო მოცემული ტრაექტორიიდან გადახრა და გამოანგარიშებული იყო გადაფარვებისა და გამოტოვებების ფართობი დამუშავებელ ფართობიდან. მიღებული შედეგებით გადაფარვები და გამოტოვებები მთლიანი დამუშავებული ფართობისათვის ნაკლებია 1 %-ზე. მაშინ როდესაც ჩატარებული კვლევების შედეგად დამტკიცებულია, რომ მარკერების გამოყენების შემთხვევაში გადაფარვები შეადგენს 11%-ს ხოლო გამოტოვებები 4%-ს. GPS Pilot-ი ეფექტურობის დაგენისათვის მისი შედარება მოხდა მარკერთან. GPS Pilot-ი შემთხვევაში რესურსებისა და დროის დანახარჯი ერთეულ ფართობზე მეტია 11 — 4 =7%-ით.

საქართველოში ზუსტი მიწათმოქმედების ტექნოლოგიის დანერგვა საშუალებას მოგვცემს რაციონალურად გამოვიყენოთ ქიმიური საშუალებები და ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდა მოვახდინოთ მინიმალური დანახარჯებით. გარდა ამისა ზუსტი მიწათმოქმედების ტექნოლოგია ხელს შეგვიწყობს უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ მანქანა ტრაქტორთა პარკი.

მამუკა ბენაშვილი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი - ს.მ. მექანიზაციის დეპარტამენტი.

აგროქიზიყი
AGROQIZIKI
თქვენი წარმატება, ჩვენთან პარტნიორობით მიიღწევა!
პირველად დედოფლისწყაროში !
მხოლოდ აგროქიზიყი გთავაზობთ
უნიკალურ პროდუქტს - სიახლეს ქართულ ბაზარზე!
თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა შეიძინოთ
უმაღლესი ხარისხის ძროხის საწველი აპარატი
1299 ლარად
ყველა ეს პროდუქტი შეიძინეთ სასოფლო სამეურნეო ბარათით

სასუქები, გვარჯილა, ჰერბიციდები, პესტიციდები, სასოფლო სამეურნეო ტექნიკა, მოტორიანი ხერხები, ცელები, შესასხურებლები, ვეტერინარული პრეპარატები და სხვა
შეიძინეთ
„აგროქიზიყი“-ს მაღაზიაში, რუსთაველის ქ. 24, (საკოლმეურნეო ბაზართან), ფერმერთა მომსახურების ცენტრში

მე რაღა გარგო, მამულო...

13 მარტს სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში ჩატარდა პოეზიის საღამო სახელწოდებით: „მე რაღა გარგო, მამულო, ერთმა უბრალო ქვითხურომ“. IV^ბ კლასის მოსწავლეებისა და მათი კლასის დამრიგებლის **ციური მოსულიშვილის** ინიციატივით შეხვედრა ადგილობრივ პოეტს **ზაურ გონაშვილს** მიეძღვნა.

სპეციალურად მონყობილ საღამოზე-მოსწავლეებმა და მათმა დამრიგებელმა ციური მოსულიშვილმა პოეტის ლექსებზე დაწერილი სიმღერები და არაერთი ლექსი წარუდგინეს დარბაზში დამსწრე საზოგადოებას.

მოგვიანებით, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, პატარები პოეტის ცხოვრების წესით დაინტერესდნენ. მოსწავლეების კითხვაზე, თუ როგორ დაიწყო მისი შემოქმედებითი ცხოვრება, ზაურ გონაშვილმა ასეთი პასუხი გაგვცა:

„მე ერთი უბრალო ხელოსანი ვარ, კირითხურო, წლებია, ხარაჩოზე ვდგავარ და ვაშენებ... სკოლაში საუკთესო მოსწავლე ვიყავი-მეთქი, ვერ მოგატყუებთ. საშუალო სკოლაც კი არ დამიმთავრებია. 17 წლის ასაკში გამიჩნდა ლიტერატურის კითხვის დიდი სურვილი და სწორედ აქედან იწყება ჩემი შემოქმედებაც,“ – გულწრფელობა ეტყობოდა პოეტს.

ციური მოსულიშვილმა ბავშვებსა და სტუმრებს ის ფაქტი ამცნო, რომ პოეტის ოჯახში კიდევ ორი მასზე არანაკლები პოეტი არის, მეუღლე გიული სამუკაშვილი და ქალიშვილი ლელა გონაშვილი.

პოეტმა სიამაყით აღნიშნა, რომ ქალაქ დედოფლიწყაროს ცენტრში ღვთისმშობლის მიძინების სახელობის უმშვენიერესი ტაძარი და ელიის მთაზე ამაყად მდგარი ელია თეზბიტელის სახელობის ეკლესია მისი ხელითაა აშენებული.

ღონისძიების დასასრულს, სკოლის დირექტორმა და მასწავლებლებმა მადლობა გადაუხადეს პოეტს სკოლაში სტუმრობისთვის, ხოლო შეხვედრის ორგანიზატორს ასეთი საინტერესო საღამოს ჩატარებისთვის. დამსწრე საზოგადოება კმაყოფილებას ღიად გამოხატავდა და აპლოდისმენტებს არ იშურებდა.

„ასეთი შეხვედრები ორივე მხარისთვის სასარგებლოა, რადგან ყველა შემოქმედს სიამოვნებს დაფასება და სტიმულს აძლევს, ხოლო მოსწავლეები კი პირადად ეცნობიან იმ ადამიანებს, რომლებიც ინტელექტუალური დონის ერთ-ერთი განმსაზღვრელები არიან,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორმა ლალი მენთეშაშვილმა.

ირაკლი კოკილაშვილი

მონატრება

მე მტკივა ბებო!!!

რუსუდან წერეთელი

ცხოვრებას ვეჭიდებოდი... ყველაფერს ადვილად ვაღწევდი და ვერ ვაცნობიერებდი, როცა ადამიანები გულის ტკივილს უჩიოდნენ. არასდროს მტკენია და ვერ ვწვდებოდი სხვისი გულის ტკივილის არსს.

რეკავს ტელეფონი... ბებია უგონოდაა... და მე პირველად ვიგრძენი გულის ტკივილი, უცნაური და აუხსნელი რაღაც შიგნიდან მტკიოდა... მერე თითქოს დაიწურა, გაიბზარა, ორად გაიყო, ცრემლებთან ერთად ყელში მომაწვა და იმ წუთს მეგონა, რომ მართლა გამისკდებოდა გული...

სახლთან სასწრაფოსა და მილიციის მანქანების ხილვამ გული ყელში მომიბჯინა... ყოველი ამოსუნთქვისას უფრო მიძლიერდებოდა ტკივილი, წუთმა წამებად დაიწყო ათვლა. არ მიშვებდნენ სახლში... სახლში, სადაც ბებო დავტოვე 3 საათის წინ და ჩემებური დარიგებებიც მივეცი... კიდევ ერთი წამი და ჩემი გაქვავებული სახით და სწრაფი ნაბიჯებით ერთი პოლიციელი უხეშად გავწიე, მეორეს გვერდი ავუარე და მივხვდი რომ გული ტიროდა... და ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი თუ რას ნიშნავდა გულის ტკივილი.

გული მეტკინა... მეტკინებოდა აბა რა, როცა გავაცნობიერე, რომ წარსულს ჩავაბარე ბებოსთან გატარებული ზამთრის გრძელი ღამეები და მოკლე დღეები... ყოველ საღამოს ვეღარ ვიჯდებოდი პირისპირ ბებოსთან მე კომპიუტერში შემძვრალი და ის თავისი ცხოვრებისეული თავგადასავლებითა და შეკითხვით: - მისმენ ბებო?! აღარ გავიქცეოდი ყოველ საღამოს სახლში, რომ ბებია შინ მარტო არ ყოფილიყო და მეგობრებისგან საყვედურს აღარ მივიღებდი. აღარ ავდგებოდი დილაადრიანად, რომ ბებოსთვის მთელი დღის სამყოფი საკვები მომემზადებინა და აღარ ავიღებდი გიჟივით ყურმილს, როცა ბებოს ტელეფონიდან შემოვიდოდა ზარი... ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა... შენთან განშორებამ გულის ტკივილიც მასწავლა... მაგრამ ჩემი გულისტკივილი რა სათქმელია შენი ყველაზე საყვარელი და საფიცარი შვილიშვილის გულისგულიდან ამოსული ცრემლებისა, რომელსაც დაპირებული სიტყვა გაუტეხე და არ დაელოდე...

მარტში დაწყებული გულის ტკივილიდან დღეები დღეებს მიჰყვებიან, საათები საათებს, გადის დრო და წუთისოფელის ათვლა არ წყდება. მეუბნებიან, ასაკოვანზე ამდენს არ დარდობენო. შენ კი მე და ხათუნა ძალიან დარდიანი დაგვტოვე, ყოველ საღამო შენზე ვსაუბრობთ, გვტკივა და ვადანაშაულებთ თავს, რომ ვერ მოგიფრთხილდით. არადა, როგორ ვცდილობდით... მაგრამ ხშირად ცდა ბედის მონახევრე არ ყოფილა... იცოდე, ბებო, ამ წერილს ტკივილი არ მაწერინებს, ჩვენ გვჩვევია ტკივილის გულში შენახვა და არა საქვეყნოზე გამოაშკარავება, ამ წერილს შენი ბუნება და ხასიათი მაწერინებს, შენ ხომ განსაკუთრებულად გიყვარდა ხალხთან ურთიერთობა... ბოლოს ტელეფონი და გაზეთი იყო შენი განუყრელი მეგობრები.

არ იფიქრო, რომ შენ ჩვენთვის მოკვდი, შენ გარდაიცვალე, კი არ მოკვდი სხვა სამყაროში, მუდმივ სამყოფელში გვერდი იცვალე და მე მჯერა რომ შენ იქიდან ისევ იამაყებ შენი შთამომავლობით. გპირდებით, საამაყოს კიდევ ბევრს მოგცემთ. იცოდე რომ მე ისევ მოვიჩქარი შინ, რომ მარტო არ იყო... ისევ ადრიანად ვდგები და თუ შენამდე საერთოდ არ ვაკეთებდი სადილს, ახლა ყოველ დღე მაქვს საჭმელი შენთვის გამზადეული, და მე შენი თვალებით ვუმზერ სამყაროს, და ისიც იცოდე, რომ ყველაფერთან ერთად შენ მასწავლე და გამაცნობიერებინე რა არის გულის ტკივილი.

მე დღეს ბებო მტკივა, ჩემი რუსო ბებო...

ირმა აბაშიძე



ვანო თეთვაძე

ზამთარმა თავისი სუსხი თითქოს ერთიანად მოაფრქვია შენს სარეცელს და დაზაფრული სხეულიდან მხოლოდ სულიღა მოჩანდა უდრეკი და ვაჟკაცური. იცოდი შენი მოურჩენელი სენის თაობაზე, თუმცა იმედებს და ოცნებებს მაინც ინახავდი საგაზაფხულოდ. რომანს და ნესტანს ელოდი, დღეს-ხვალ აქ გაჩნდებიან, ეზოში გამიყვანენ და სანამ ჩემით შევძლებ სიარულს, ისინი დამეხმარებიანო.

მაგრამ, ზამთარმა თავისი გაიტანა და ხსოვნადღა შემორჩი ახლობლებს. იმ დღეს თითქოს ორი მზე ჩაესვენა საქართველოში. ერთი მზე ჯავახეთისა და მეორე მზე ქიზიყისა. შენ ხომ ისტორიული საჯავახოდან გქონდა წამოღებული ფესვი ქიზიყის მადლიან მიწაში ჩანერგილი. თეთვაძეების გენეალოგიურ შტოს კიდევ ერთი ბერმუხა მოსწყდა და ხსოვნაში დაიფერფლა.

აგერ, ორმოცი დღეც გაილია უშენოდ და პირველი გაზაფხულიც ეზოში ქურდულად შემოიპარა, თუმცა, ისეთი სურნელი ველარ მოიტანა.

ძნელია, შეეჩვიო უსაყვარლესი ადამიანის სიკვდილს, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ახლობლები ამაყნი ვართ, რომ შენი სიკეთით, სიმართლით და შრომისმოყვარეობით ისეთი სახელი დაიმკვიდრე, ხალხმა პატივისცემის ნიშნად- „მართალი ვანო“ გიწოდა, რაც სამაგალითოდ გადაჰყვებათ თაობებს. აკი შენი რომანიც სიამაყით ამბობს- ის იყო ყველასათვის კაცობისა და პატიოსნების სიმბოლო, ჩემთვის პირადად – სავიზიტო ბარათი. ცხოვრებამ უფრო მეტი არგუნა, ვიდრე ერთ კაცს შეუძლია იტვირთოს. მამაჩემს შეეძლო ჩემთვის დაეტოვებინა დიდი ქონება, მაგრამ დამიტოვა კაცური კაცის სახელი, რაც ამ ყველაფერს გადასწონის ჩემში. მეამაყება, რომ ვანოს შვილი ვარ.

- არ მეგონა, თუ ჩვენს მეგობრობას სიკვდილი ასე მალე დააშორებდა; ჭიშკარში შემოსული თვალზე მომდგარ ცრემლს იმშრალებს და ფართო ეზოში უსაყვარლეს მამამთილს ქვეცნობიერად ეძებს ნესტანი.

მხოლოდ პატრა გიგი შეეგუა გაუცნობიერებლად პაპის სიკვდილს. ბავშვი ყველას სთხოვს სანთლის ანთებას, სჯერა, რომ ღმერთთან მისულს, ამ სანთლის შუქი ნათელში ამყოფებს.

ოცდაჩვიდმეტი წელი გაილია ჩვენს თანამეგობრობაში, ვანო, აქამდე ვერ ვგრძნობდი, ასეთი ღრმა ფესვი თუ გქონდა ჩემს ცხოვრებაში, ახლა მხოლოდ საშინელი მონატრება, სიცარიელე და იდუმალი გრძნობები თუ სცვლიან ერთმანეთს, გელოდები, გეძებ, მგონია სადღაც ხარ წასული და უნდა მოხვიდე. როგორც მეუღლე , დიდი ნავსაყუდელი იყავი ჩემთვის. სიკვდილის წინ შეძელი და ანდერძად იოსებ ნონეშვილის ძვირფასი სტრიქონები წაიღიღინე:

„ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,
ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი,
წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდის,
თურმე ესეც გმირობაა დიდი.“

დიახ, შენ იცოდი ვინ იყავი სინამდვილეში. იცოდი შენი თავის და აწონილ-დაწონილი სიტყვის ფასიც. ამიტომ შეაყვარე თავი დიდსა თუ პატარას. და ესაა მიზეზი, რომ ვერავინ ეგუება შენს სიკვდილს.

ისლა დაგვრჩენია, ზეცაში დასამკვიდრებლად ვილოცოთ შენი სულისათვის.

შენი ოჯახი:
მეუღლე დალი ქუსიკაშვილი,
შვილი რომან თეთვაძე,
რძალი ნესტან ოგოლაძე.

გიორგი აბიათარი



ჩემო ერთადერთო სანთელო, ჩემო ლამაზო შვილო გიორგი. აგერ უკვე მეხუთედ უნდა შევხვდე შენს დაბადების დღეს უშენოდ.

როგორ გვიხაროდა 5 აპრილის მოსვლა. 5 აპრილი შენი დაბადების დღეა. ასე იყო მაშინაც 2008 წლის 5 აპრილს- შენ 18 წლის გახდი. ვაი შენს დედას, ეს ხომ ახლობლებთან ერთად გატარებული ბოლო დაბადების დღე იყო შენთვის.

მერე კი 27 მაისს სავალდებულო ჯარში მოხალისედ წახვედი, მიუხედავად იმისა, რომ იმუნიტეტი გიცავდა.

ძალიან ცუდად დაიწყო შენი მე-19 წელი. 2008 წლის აგვისტოს ომმა შეიწირა შენი ჭაბუკური სიცოცხლე. დედის სიყვარული სამშობლოს სიყვარულს ანაცვალე.

ჩემო გიორგი, ახლა შენ 23 წელი გისრულდება, ვაი შენს დედას, რომ მარტო, უშენოდ უნდა შეხვდეს შენს დაბადების დღეს.

დედა ყოველთვის მოვა შენს საფლავთან, მოგიტანს ყვავილებს. შენ ხომ ყოველთვის მოგქონდა ჩემთვის ყვავილები და პატარა, მაგრამ გულის გასახარებელი საჩუქარი და ყოველი დედის დღეს თუ 8 მარტს მილოცავდი. ძალიან ძნელია უშენობა. ღმერთს ვეხვეწები, მალე შეგვახვედროს ერთმანეთს.

ჩემო შევარდენო, ჩემო ჭაბუკო შვილო, დაე, მსუმბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

სულ მუდამ გენთოს სანთელი, გიო, გმირი ხარ ქართველი.

დედა ლიზა აბიათარი
და შენი ახლობლები.

და ნორა, სიძე ზურაბი, დისშვილები: კაკო, გულიკო, ეთერი მაჩაბლიშვილები ოჯახებით იუწყებიან

მარინე ალადაშვილ-მიქაბერიძის

გარდაცვალებას
დაიკრძალა დაბა ბაკურიანში.

იყიდება!

იყიდება ორსართულიანი სახლი დიდი ნაკვეთითა და ასფალტიანი ეზოთი. სახლი არის ძველი, მაგრამ სუფთა რემონტით. ფასი 15000 დოლარი. ჩვენი მისამართია: ქ. დედოფლისწყარო, ფოროსმანის ქ.N 14. ტელ: 557 19 45 44, იკითხეთ ქეთი.

№1 საჯარო სკოლის მრავალწლიანი დავა დასასრულს უახლოვდება?!

(მესამე გვერდიდან)

გამოაშკარავდება. ამ საქმის დამთავრების შემდეგ უკვე მე მივხედავ ახალ საქმეს — დუღაშვილს და მის გაქეზებულ „მოწმეებსა“ და „დაზარალებულებს“. ადამიანები ცუდს ადვილად იჯერებენ. ყველაზე მეტად იმას განვიცდი, რომ ეს ყველაფერი არ დაიჯერონ ჩემმა მოსწავლეებმა. მხოლოდ მათთვის მიღირს ბრძოლა, რომ არ გავუმტყუნო იმედები. ჩვენ ძალიან ბევრი რამ გვაკავშირებს ამ წლების განმავლობაში, ძალიან დავახლოვდით და ამის საფუძველი ურთიერთგაგება, სიმართლის რწმენა და საერთო საქმე იყო. ახლა კი გავიგე, რომ ყველა იმ მოსწავლეს, რომელიც ღიად გამოთქვამს ჩემს სასარგებლოდ აზრს, დევნიან და ემუქრებიან. მოვუწოდებ ჩემს საყვარელ მოსწავლეებს, არ აყვნენ ემოციებს, ისწავლონ ჩვეულ რეჟიმში, ეს ყველაფერი უნდა იყოს მათგან შორს. მე კი ჩემს საქმეს ახლო მომავალში ისევ სუფთა ხელებით განვაგრძობ.

მადლობას ვუხდი პედაგოგთა რეაქციულად განწყობილ ნაწილს, რადგანაც მათი ქმედებები და, ზოგადად, მათი არსებობა მაძლევდა უსამართლობასთან ბრძოლის სტიმულს. ყველაზე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მოსწავლეებს, რომელთაგან მუდამ ვსწავლობ ცხოვრებას. ბოლო დროს განვითარებული მოვლენების პერიოდში მათი თანადგომა მმატებდა ბრძოლის ძალას და მიათმაგებდა სიმართლის დამტკიცების სურვილს. როგორც აღმოჩნდა, ჩემი ყველაზე დიდი „ნაკლი“ ის არის, რომ ყოველთვის აპოლიტიკური ვიყავი. ეს არ აწყობს არცერთ ხელისუფლებას. მე სკოლაში ვიყავი ჩემს საყვარელ საქმესთან ერთად, რომელსაც ვთვლი, რომ კარგად ვიცნობ და ვაკეთებ და რომელსაც პოლიტიკა არ უნდა ეხებოდეს. ბოლო ერთი თვის განმავლობაში, როგორც ზოგიერთებისთვის, გარკვეული მიზეზების გამო, არასასურველ პიროვნებას, შემექმნა ისეთი პრობლემები, რომელმაც მორალურად გამანადგურა და ღირსება შემილახა. ამ ყველაფერს ძალიან განვიცდი. ასე არ უნდა გამიმეტონ! ყოველი განცხადება იმის თაობაზე, რომ სკოლის დირექტორი არის კრიმინალი, ფსიქოლოგიურად უფრო და უფრო მაშორებს ჩემს საზოგადოებას, ჩემს სკოლას, ჩემს ბავშვებსა და მასწავლებლებს, ვისთვისაც ვცოცხლობ, ვიბრძვი, ვიღწვი... იმდენად მაშორებს, რომ, ვაცხადებ, როგორც კი დამტკიცდება ჩემი სიმართლე, მე დავწერ განცხადებას და დავტოვებ თანამდებობას, რადგანაც ამხელა სტრესის შემდეგ რეაბილიტაციის გარეშე ვერ გავაგრძელებ მუშაობას. მაგრამ

ეს მოხდება მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც გავმართლდები!,“ - აღნიშნავს მაია ლაპიაშვილი

გაზეთი „შირაქი“ მეორე მხარესაც ესაუბრა. პედაგოგები უსამართლობის განცდაზე საუბრობენ და თავს დაზარალებულად გრძნობენ. ისინი აღნიშნავენ, რომ დირექტორი გათავისუფლებულ პედაგოგებს სხვადასხვა ტელევიზიებით შეურაცხმყოფელი სიტყვებით ხშირად მოიხსენიებს.

„თავად ამბობს, არ მინდა ისე წავიდე, რომ არ გავმართლდეო. დამნაშავეს უნდა საქმიდან გამართლებული გავიდეს და მე, ვისაც მასწავლებლობა ჩემი ცხოვრების მთავარი აზრი მეგონა და ასე უცერემონიოდ დაგვითხოვა სკოლიდან და არც ეს გვაკმარა, ტელევიზიით „ბალასტები“ გვეძახა, ჩვენ არ გვტკივა გული? ყოველთვის ვეძებ ადამიანში დავინახო კარგი თვისება, აქ ლაპარაკი არ არის მარტო იმაზე, რომ მე გული ძალიან მატკინა. საზოგადოების დიდ ნაწილს მართლა ნეგატიური წარმოდგენა აქვს ამ პიროვნებაზე როგორც დირექტორზე. რა თქმა უნდა 600 ბავშვიან სკოლაში თუ ასამდე მოსწავლეს მოსწონს, ეგ დიდი საქმე არ არის. ხელისუფლების შეცვლით სამართლიანობის განცდა დამიბრუნდა და იმედია არ ვცდები. ყოველ შემთხვევაში, სისხლის სამართლის კანონით და პროკურატურის ჩარევით კი არა, მაია ლაპიაშვილი ჩვენი მასწავლებლების უკანონოდ სამსახურიდან გამოყრისთვის უნდა გათავისუფლებულიყო დირექტორობიდან და ამდენ შეცდომას არც ეგ დაუშვებდა ოთხ წელში და არც ჩვენ გაგვანადგურებდა მორალურად. კარგი მეხსიერება გვაქვს და მისი აპოლიტიკურობაც ძალიან საეჭვოა. წინასაარჩევნოდ, დედოფლისწყაროში, სააკაშვილის „ქოჩების ტბაზე“ ჩამოსვლისას, სკოლაში დამლაგებელიც არ დატოვა, ყველა პრეზიდენტთან შეხვედრაზე წაიყვანა. ივანიშვილთან შეხვედრაზე კი პედაგოგებს გარეთ გასვლა აუკრძალა. გახსოვთ, ივანიშვილის ჩამოსვლისას დედოფლისწყაროში გზებზე ლურსმნები დაყარეს და ავტომანქანების სიგნალებით და ყვირილით ცდილობდნენ ივანიშვილის სიტყვით გამოსვლისთვის ხელი შეეშალათ. მოსწავლეებს საწვავი სწორედ ლაპიაშვილმა ჩაუსხა და ბავშვები აახმაურა,“ – უთხრა „შირაქს“ დედოფლისწყაროს პედაგოგთა პროფკავშირების თავმჯდომარემ, სკოლიდან გათავისუფლებულმა პედაგოგმა მაყვალა მაძღარაშვილმა.

მრავალწლიანი დავა დასასრულს უახლოვდება. „შირაქის“ ინფორმაციით, პროკურატურა საქმეს უკან გაითხოვს. ლაპიაშვილი ამბობს, რომ პროკურატურა საქმეს განერიდება, თუმცა მეორე მხარე მიიჩნევს, რომ პროკურატურის მიერ საქმის გამოთხოვა არ ნიშნავს ლაპიაშვილის წინააღმდეგ აღძრული საქმის შეწყვეტას. „საქმეს აუცილებლად ბოლომდე მივიყვანთ. ახლა ქმედება ხომ უკუქმედებას უდრის, მას ურჩევნია წავიდეს სკოლიდან იმიტომ, რომ ვიცით ნახევარი მტკიცებულებები არ აქვს. რადგან დედაა და შვილები ჰყავს, საქმის დამძიმება არ გვინდოდა,“ - აღნიშნავენ ყოფილი პედაგოგები და სამართლიანობის აღდგენის და სკოლაში დაბრუნების იმედი აქვთ.

* * *

28 მარტს, პროკურორმა გია შაიშმელაშვილმა ასეთი კომენტარი გააკეთა -„ლაპიაშვილის საქმის სასამართლოდან უკან პროკურატურაში გამოთხოვა არ ნიშნავს იმას, რომ ის უდანაშაულოა. საქმე ნებისმიერ დროს შეიძლება შებრუნდეს პროკურატურაში, თუ ის ნაკისრ ვალდებულებას არ შეასრულებს.“

საბოლოო ჯამში, 29 მარტის მონაცემებით სიღნაღის რაიონული პროკურატურის უფროსის მოადგილის სოსო გულოშვილის კომენტარი ლაპიაშვილის საქმეზე ასეთი გახლავთ,- “ლაპიაშვილმა პროკურატურაში შემოიტანა თხოვნის განცხადება ზარალის ანაზღაურების პირობით და განრიდების მოთხოვნით.განრიდება ნიშნავს იმას, რომ ის აანაზღაურებს მითვისებულ თანხას, რაც თავისთავად შეიცავს დანაშაულის აღიარებას, ხოლო პროკურატურა ათავისუფლებს მას ბრალისგან, ანუ ჩვენ უკან გამოვითხოვთ სასამართლოდან მის საქმეს. განცხადება დაკმაყოფილებულია, პროკურატურამ იშუამდგომლა და უკან გამოითხოვა სასამართლოდან მისი საქმე, რომელსაც წინაპირობად უძღვის ის, რომ ის ზარალს და მითვისებულ თანხას აანაზღაურებს. თუ ლაპიაშვილი ამ თანამშრომლობას წინააღმდეგობას გაუწევს და არ შეასრულებს თავისზე დაკისრებულ მოვალეობას,ის მხოლოდ და მხოლოდ ბრალს დაიმძიმებს, საქმე სასამართლოში უკან შებრუნდება, დაემატება ახალი ბრალი და მოსამართლე გამოიტანს უკვე საბოლოო განაჩენს“.

ილია მარტყოფლიშვილი
ლალი მეხრიშვილი

ულოცავენ!

ლეილა ლაპიაშვილს!

გილოცავთ პირველი შვილიშვილის - პატარა ქალბატონის - ანას დაბადებას. გისურვებთ, ბედნიერი ბებია იყო. გამრავლდი, ეგ ერთი და სხვა მრავალი. გვინდა, შვილიშვილებმა დაგავიწყონ ცხოვრების უკულმართობით მოყენებული ყოველი ტკივილი. ანას მშობლებს - ეკა ოზაშვილს და გიორგი ტყაბლაძეს შორეულ კანადაში ვულოცავთ ამ დიდ სიხარულს. ვუსურვებთ, ღირსეული შვილები გაზარდონ, ქართული გენის გამგრძელებლები, თუნდაც საქართველოს ფარგლებს გარეთ, უცხო მიწაზე.

სიყვარულით, მეგობრები: მარინა ნასარაშვილი, ლია ალხანიშვილი, ნანა ჯალიაშვილი და ბაბუცი ჯორკოშვილი.

გიორგი ტყაბლაძეს, ეკა ოზაშვილს!

გულწრფელად ვუერთდებით თქვენს სიხარულს პირველი შვილის დაბადების გამო. იყავით ბედნიერი მშობლები. მინდა ისეთი საქართველო, თქვენ და თქვენნაირი ქვეყნიდან გახიზნული ხალხი უკან რომ დაბრუნდება და ყველა ერთად ვიქნებით, ერთმანეთს მოვეფერებით, ძველ სიყვარულს განვიმტკიცებთ, ერთად ვიშრომებთ ჩვენი ქვეყნის სიძლიერისთვის და ერის გამრავლებისთვის. მიყვარხართ!

თანაკლასელთა სახელით: მაგდა პოპიაშვილი

ვიოლეტა ნატროშვილს!

ჩვენო ძვირფასო ვიოლეტა, აპრილი შენი თვეა,რადგან ამ თვეში ხარ დაბადებული, გილოცავთ იუბილეს და ჯანმრთელობას, სიმხნევეს და უამრავ სიხარულს გისურვებთ შენს ახლობლებთან ერთად. სიკეთით გაგევლოს ის დიდი და საპასუხისმგებლო გზა, რასაც ადამიანების ჯანმრთელობის სამსახურში ყოფნა ჰქვია!

პატივისცემით,
ოზაანის სამედიცინო ამბულატორიის თანამშრომლები.

ვიოლა ექიმო, თქვენ ჩემთვის ჩემი ბავშვობის მოგონება ხართ, დღესაც მახსოვს, როგორ შეგოაღებდით ხოლმე კარებს ოზაანის სოფლის ამბულატორიაში, ხვეული, ლამაზი თმებით, ლამაზი, გაზაფხულივით მხიარული კაბებით, თქვენს ხალისიან ხასიათში რომ ჯდებოდა. დღემდე, როდესაც მენატრება ჩემი მშობლიური სოფელი, მენატრებით თქვენც, რომლის ნანილიც იყავით მუდამ, თქვენ სხვანაირი სიხარული და ეშხი შეგქონდათ სოფელ ოზაანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ძალიან მიყვარხართ და მინდა, მეც მოგილოცოთ იუბილე. ექიმობა ძალიან ბევრს გავალებთ და ამავე დროს დიდი პატივია ამ სამსახურში იდგე. ეს პატივი საამაყოდ გეტარებინოთ!

დიდი სიყვარულით და პატივისცემით
ლალი მეხრიშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

შაბათი 30. 03	კვირა 31. 03	ორშაბათი 01. 04	სამშაბათი 02. 04	ოთხშაბათი 03. 04	ხუთშაბათი 04. 04	პარასკევი 05. 04
დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე
10 ° 4 °	10 ° 4 °	8 ° 7 °	11 ° 10 °	14 ° 11 °	15 ° 12 °	14 ° 11 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მლეგრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K